ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 აპრილი 2002 №58 (1580) ფასი 50 თეთრი


# ჟორდანიას რეტრო: იგივენი, მინუს პეტრო



გუშინ ვაკეში. „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“ 2:1. თამაშისა რა მოგახსენოთ, ისე რა... ლოკომოტიველი სირაძის გოლი და სარბიელელი კეთილაძის კადრი კი ჩინებული გამოვიდა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები სამსახურიდან გათავისუფლების განცხადებებით ხელდამშვენებულნი მიადგნენ ფედერაციის ოფისს და ამით პრეზიდენტ ჟორდანიას მოთხოვნა შეასრულეს. განმცხადებელთა შორის არავის უნახავს პრეზიდენტობის კანდიდატი, ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა და ტრანსფერების კომიტეტების ან უკვე ყოფილი თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი. ჟორდანიამ კი ერთი დათხოვნილი გუშინ ძველ თანამდებობაზე დააბრუნა და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვინ იქნებოდა. აკი ვივარაუდეთ კიდეც: ვალერი ჩოლარია კვლავ გენერალური მდივანია. სწორედ მას დაევალა ფედერაციის ახალი აპარატის ჩამოყალიბება და დღეს გასამართ აღმასკომის სხდომაზე თავისი შემოქმედების წარდგენა. ფედერაციაში დატრიალებულ ამბებს ხელი არ შეუშლია დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების გამართვაში. მინდვრებზე ყველაფერმა უსკანდალოდ ჩაიარა. „ლოკომოტივმა“, „დინამომ“, „ტორპედომ“ და „ვიტ ჯორჯიამ“ ნახევარფინალში უპრობლემოდ გააღწიეს.

იხილეთ მეთერთმეტე და მეთორმეტე გვერდები

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# თამაში იყო ერთიანების

## ლივერპული — ლევერკუზენი 1:0

## პანათინაიკოსი — ბარსელონა



მსაჯმა ტერიე ჰაუგემ ბერძნები პენალტით გაახარა

REUTERS





„ლივერპული“ — „ლევერკუზენი“. გერმანელების დაცვა ინგლისელთა ფინელმა მცველმა სემი ჰიპიამ წააქცია

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა
## მეოთხედფინალი. I მატჩები

CHAMPIONS LEAGUE

ლივერპული (ინგლისი) 1:0 ლევერკუზენი (გერმანია)

1:0 ჰიპია (44)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო, ჰიპია, რიისე, ჰამანი, მერფი, შმიცერი (ბერგერი 75), ჯერარდი, ოუენი (ლიტმანენი 70), ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი, ლუსიო, რამელო, პლასენტე, შნაიდერი, ზე რობერტო, ბალაკი, ბაშთურქი, ნოივილე (კირსტენი 74), ბერბატოვი (ფოვკოვიჩი 66)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

გაფრთხილება: ლუსიო, რამელო, კარაგერი, ჰიპია

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

42 454 მაყურებელი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:0 ბარსელონა (ესპანეთი)

1:0 ბასინასი (79პ)

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, ბასინასი, სარიჩი, კირიაკოსი, გუმასი, ფისასი, ვლაოვიჩი (ოლისადებე 74), კოლკა, ლიბეროპულოსი (ბოატენგი 59), კონსტანტინუ (ვოკოლოსი 90)

მწვრთნელი: სერხიო მარკარიანი

ბარსელონა: ბონანო, დე ბური, აბელარდო, პუიოლი, კოკო (რაიციგერი 67), გაბრი, როჩემბაკი (რივალდო 72), კოკუ (საბი 53), მოტა, კლუივერტი, ოვერმარსი

მწვრთნელი: კარლეს რექსაჩი

გაფრთხილება: კოკო, კირიაკოსი, სარიჩი, ბონანო, დე ბური

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

16 800 მაყურებელი



პანათინაიკოსი — ბარსელონა. ბერძენი ანგელოს ბასინასი და ფრანჩესკო კოკო



REUTERS

ლივერპული — ლევერკუზენი. ლუსიო მასპინძელ სტივენ ჯერარდს გადაახტა



REUTERS

ლივერპული — ლევერკუზენი. დიმიტარ ბერბატოვს სტეფან ანშო კედელივით დაუდგა



პანათინაიკოსი — ბარსელონა. გაბრიმ მიხალის კონსტანტინუ არ გაატარა

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ზიგენი 1:0 ელვერსბერგი

### პორტუგალია
I ლიგა. გადადებული მატჩი
გილ ვისენტე 2:2 ალვერკა

### ჰოლანდია
I დივიზიონი. XXX ტური
აიაქსი 4:3 გრონინგენი

### თურქეთი
გადადებული მატჩი
ტრაბზონსპორი 0:2 გალათასარაი
თასის ფინალი
ბეშიქთაში 0:4 კოჯაელისპორი

### შოტლანდია
II დივიზიონი
გადადებული მატჩი
კლაიდბენკი 0:2 ბერვიკი

### ავსტრია
XXIX ტური
რიდი 0:1 გრაცერი
შტურმი 5:1 კერნტენი
ბრეგენცი 3:0 რაპიდი

### საბერძნეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
ირაკლისი — ოლიმპიაკოსი (2:3)
აეკ — ქსანთი (0:0)
ორივე მატჩი დღეს გაიმართება

### რუსეთი
თასის მეოთხედფინალი
დინამო 0:3 სატურნი
ზენიტი 1:0 დ.დ. (0:0) კრილია სოვეტოვი
ტორპედო ზილ 0:1 ცსკა
სოკოლი 1:2 ამკარი (!)

### ჩეხეთი
თასის მეოთხედფინალი
მოსტი (II) 2:0 ტეპლიცე
ბანიკი 0:0 (პენ. 5:4) მლადა ბოლესლავი (II)



ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

# რატომ არის რეალი საუკეთესო გუნდი?





შტეფან ეფენბერგმა პენალტის გაფუჭების მიუხედავად თამაში მაინც შემოაბრუნა

**ბაიერნი 2:1 რეალი**

0:1 ჯერემი (12), 1:1 ეფენბერგი (81), 2:1 პიზარო (87)
ეფენბერგმა ვერ გაიტანა პენალტი (72, მეკარე)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (სალიჰამიჯიჩი 62), კუფური, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, იერემიესი, რ. კოვაჩი, ეფენბერგი, სერჯიო (პიზარო 52), სანტა კრუზი, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: სესარი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, მაკელელე, ელგერა, ჯერემი (კონსეისაო 83), ზიდანი, რაული, სოლარი (მორიენტესი 76)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ელგერა, სანიოლი, ელბერი, კოვაჩი
მსაჯი: პიერ დალისი (შოტლანდია)
60 000 მაყურებელი

**დიდებული** თამაშის მოწმე შეიქნა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი". უმაღლესი ოსტატობის საათნახევრიანი წარმოდგენა, ინდივიდუალური და გუნდური გაბრწყინება, სახიფათო მომენტები, ლაღი გადაადგილებანი და უტეხი ხასიათი, მოგერიებული პენალტი, სამი გოლი და ერთი შეხედვით წაგებული შეხვედრის მოგება.

„ამ მატჩის შემდეგ ჩვენი ოპტიმიზმი გაიზარდა" — თქვა პრესკონფერენციაზე „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

მადრიდელებს კი არ ჰყავდათ ლუიშ ფიგუ. სამაგიეროდ, მათ ჰყავდათ ზინედინ ზიდანი, რომელიც მართალია ბოლომდე მოშუშებული არ იყო და ორთაბრძოლებს აშკარად ერიდებოდა, მაგრამ მთელი თამაშის განმავლობაში ბურთი, თუ არ ვცდები, ერთადერთხელ, მეხუთე თუ მეათე წუთზე დაკარგა. კიდევ რაგინდ უცნაურად ჟღერდეს, „რეალში", ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე თამაშობდა არგენტინელი სანტიაგო სოლარი, წესითა და რიგით, სათადარიგო ფეხბურთელი, რომელმაც ამ შეხვედრაში საუცხოოდ ითამაშა და მეორე ტაიმში ვისენტე დელ ბოსკეს რომ არ შეეცვალა (თუმცა, ალბათ, დაღლის გამო გაიყვანა მოედნიდან), შეძლებდა თუ არა „ბაიერნი" ორი გოლის გატანას, საკითხავია. რაც შეეხება რაულს, იგი გერმანელ მცველებს საიმედოდ ჰყავდათ გამოჭყვლეული.

ახლა მასპინძლებზე ვთქვათ: მათი მთავარი კოზირი (ცხადია, უმაღლესი დონის ორგანიზაციასთან ერთად), შეუპოვრობა, ამ დღესაც გადამწყვეტი გამოდგა. თუმცა მხოლოდ ესეც არ იყო — დიდებულად ითამაშა ფორვარდმა ჯოვანი ელბერმა. საქმეში ძალიან კარგად ჩაერთო ჰასან სალიჰამიჯიჩი და, რა თქმა უნდა, ბრდღვინავდა მარად „ბოროტი" შტეფან ეფენბერგი, რომელმაც მეორე ნახევარში ჯერ პენალტი ვერ გაიტანა, შემდეგ კი ანგარიში გაქვითა.

მეკარეები: ოლივერ კანმა უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც ჯერემი ნჯიტაპის დარტყმული ვერ მოიგერია, სესარმა კი რამდენჯერმე იხსნა მადრიდელთა კარი.

„ჩემმა გუნდმა დიდი სიმტკიცე და საკუთარ ძალთა რწმენა გამოავლინა — განაგრძო ჰიცფელდმა — მეორე ტაიმში ისე ვითამაშეთ, რომ გამარჯვებას უთუოდ ვიმსახურებდით, პირველ ნახევარში კი „რეალმა" შეგვავიწროვა. ჩვენ სამოქმედო ასპარეზი ვერ ვნახეთ, მათ კი დიდებული ტექნიკა დაგვაპირისპირეს".

შემდეგ, მიუნხენელთა მწვრთნელმა ეფენბერგზე გაამახვილა ყურადღება: „ის არასდროს ნებდება, მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი მის წინააღმდეგ არის მიმართული. მისი გოლი მისთვისვე იყო ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა, არა მხოლოდ მისთვის. ის მნიშვნელოვანი მთელი გუნდისთვისაც გახლდათ".

ასე და ამგვარად, „ბაიერნმა" მადრიდელებს გამარჯვება გამოსტაცა ხელიდან და მან, 1994 წლის დეკემბრის შემდეგ კვლავ დაუმარცხებელ გუნდად რჩება ევროთასზე.

„არ მესმის, რატომ ამბობენ, რომ „რეალი" მსოფლიოში საუკეთესო გუნდია. ჩვენ ხომ მას ყოველთვის ვუგებთ" — დასძინა ბოლოს ჰიცფელდმა.

მისმა მადრიდელმა კოლეგამ, ვისენტე დელ ბოსკემ კი განაცხადა: „ვფიქრობ, შედეგმა კითხვა, თუ ვინ გავა ნახევარფინალში, უპასუხოდ დატოვა. მეორე მხრივ, დღევანდელმა მარცხმა ძალიან გაგვღიზიანა და საპასუხო შეხვედრაში მთელი ძალით ვიბრძოლებთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ველოდით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მატჩის სადავეები ხელთ გვეპყრა, იმ მონაკვეთში, როდესაც მეტოქემ ძალები მოიკრიბა, მათმა სწორხაზოვანმა ფეხბურთმა გაამართლა. ახლა ჩვენ გონს რაც შეიძლება მალე უნდა მოვეგოთ და მომავალ ოთხშაბათს გავიმარჯვოთ. მესმის, რომ დამარცხება არავის უყვარს, მაგრამ ყველაფერი ჩვენს ხელთაა და „სანტიაგო ბერნაბეუზე" შანსი უნდა გამოვიყენოთ".

მიუნხენში მორიგ მარცხზე კი დელ ბოსკეს შეხედულება ასეთია: „ჩემი სურვილი ფინალში გასვლაა, ამ სტადიონზე კი ოცჯერაც რომ წავაგოთ, არაფერს ნიშნავს და ეს ამბავი არ მაწუხებს".

თითქოს სწორი ლოგიკაა, მაგრამ მეორე მხრივ, „რეალსავით" თავმოყვარე გუნდისთვის ერთსა და იმავე ქალაქში მუდმივ ჩასვლა და შეიდგერვე წაგება წესითა და რიგით, უსიამოვნო უნდა იყოს.

**ბაჩუნა კედია**

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

# რატომაც არა?!
## იმიტომ, ხავიერ, იმიტომ...




კვინტონ ფორჩუნმა (შუაში) მეორე გოლში წილი დაიდო

**დეპორტივო 0:2 მანჩესტერი**

0:1 ბექჰემი (16), 0:2 ვან ნისტელროი (41)
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ნაიბეტი, სეზარი, რომერო, მაურო სილვა, სერხიო, ვიქტორი (დუშერი 87), ფრანი (მაკაი 60), ვალერონი (ჯალმინია 68), ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, იონსენი, სილვესტრი, ბექჰემი (ფ. ნევილი 90), ბათი, კინი (ფორჩუნი 45), სტოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი (სოლსკაერი 76)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბათი, ვან ნისტელროი, სტოულზი, ჯალმინია, ტრისტანი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
31 000 მაყურებელი

**რა სწყუროდა** „დეპორტივოს"? ნუთუ ნამდვილად სჯეროდა ხავიერ ირურეტას ამბავი სერ ალექსის მესამედ ძლევისა? შეიძლება ასეც იყო, მაგრამ „რიასორზე", იქამდე ჯგუფში მანჩესტერულთა ორჯერ მძლეველი „სუპერდეპორი" არსად ჩანდა. ეს გახლდათ ჩვეულებრივი „დეპორტივო", რომელმაც პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „რეალ სოსიედადთანაც" კი ფრე ითამაშა.

მანჩესტერულმა ბადახშმა ლა კორუნიაში მთელი სიმძლავრით გაიბრწყინა. დასაწყისშივე სტუმრებმა ოპერატიულად მოაკვარახჭინეს მთავარი — მოედნის ცენტრი მიითვისეს. უპირატესობის შედეგში გარდასახვა მალევე დევიდ ბექჰემმა ითავა. სადღაც შორს, ხოსე ფრანსისკო მოლინას კარისგან მოშორებით, 30 მეტრში, ბექჰემმა ბურთს ფეხი ჩოგანივით შემოჰკრა. ბურთი ჰაერში აიჭრა, მიუხვ-მოუხვია და მოლინას კარში ჩაისისინა.

აქედან მოყოლებული, მასპინძლები დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმავლობაში გასათანაბრებლად უტევდნენ, თუმც „დეპორის" იერიშებს ფაბიენ ბარტეზი სერიოზულად არც შეუწუხებია. ერთი-ორჯერ მოუცაცუნეს ბურთს ფეხი და ფრანგი გოლკიპერის მორიგი აცუნდრუკების იმედზე იყვნენ, ეგებ ახლაც შეცდესო — ბარტეზი ჯიუტად არ ცდებოდა.

ხოლო სტუმრებმა უყურეს „დეპორტივოს" ფორთხიალს, იფიქრეს, ესენი რაღაც აჭრილები არიან და ბოლო აქვე უნდა მოვუღოთო. პირველი ტაიმის მიწურულს მანჩესტერელებმა ფერგიუსონისეული გაითამაშეს. გიგზი - კინი-სილვესტრი-ვან ნისტელროის კომბინაცია მეორე გოლით დასრულდა. კარის წინ ჩასაფრებულმა ჰოლანდიელმა ბურთს ერთი შეხებით წაუწკაპუნა და ანგარიში გააორა.

ტაიმის მიწურულს სამწუხარო ამბავი მოხდა — როი კინმა სერხიოსთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო და როგორც მოგვიანებით ითქვა, მაისამდე ველარ ითამაშებს. მის ნაცვლად სერ ალექსმა კვინტონ ფორჩუნი შეუშვა, ვინც წინა კვირაში თბილისშიც იბურთავა.

მეორე ნახევარი, ცხადია, ისევ „დეპორტივოს" მცდელობებით დაიწყო, მაგრამ კვლავ ამაოდ. პირიქით, მასპინძლებმა კინაღამ კიდევ ერთი-ორი გაუშვეს. რაიან გიგზს ორჯერ კარგი შანსი მიეცა საგოლედ — ჩვეულად ჩაიქროლა, საჯარიმოში მოლინაც უსაქმოდ დატოვა და ბურთი ცარიელ კარში გააგზავნა. იქ კი საიდანღაც აქოშინებული მცველი გამოვარდა, რომელმაც გალისიური გუნდი მესამე გოლს გადაარჩინა. მერე ისევ გიგზი- მოლინას დუელი შედგა, ოღონდ ამჯერად მეკარემ იმარჯვა.

ბოლო წუთზე „დეპორტივოსთვის" ისედაც შავი დღე დიეგო ტრისტანმა კიდევ უფრო გააშავა თავისი საქციელით. დევიდ ბექჰემს უკნიდან შემოსცხო ფეხი ისე, რომ ბექჰემი საკაცით გასატანი შეიქნა.

კმაყოფილმა ალექს ფერგიუსონმა ნამატჩევს თქვა: „ჩემმა გუნდმა მიაღწია იმ დონეს, როცა გადამწყვეტი მატჩების მოგება ძალუძს. იმედი მაქვს, რომ საპასუხო შეხვედრაში არ ვინანებთ, ორზე მეტი გოლი რომ ვერ გავიტანეთ. ფაქტი ერთია, ჩვენ დღეს მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ".

ხავიერ ირურეტამ კი ნახევარფინალში გასვლის შანსებზე ილაპარაკა: „რატომაც არა? ყველაფერი ხდება. თუ მანჩესტერში სწრაფ გოლს შევაგდებთ, გამარჯვების შანსს შევინარჩუნებთ. დღეს კი, შეიძლება ითქვას, „მანჩესტერ იუნაიტედს" გამარჯვება ვაჩუქეთ".

**ვაჟა ხუციშვილი**





ფაბიენ ბარტეზს თამაში არ ჩაუდგია

# აყლაყუდას ფრე



ნიუკასლელმა ნიკოს დაბიზასმა პიტერ კრუშის საგოლე თავურს ვერაფერი მოუხერხა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXIII ტური

**ასტონ ვილა 1:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (3), 1:1 კრუში (26)

ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, მელბერგი, სტონტონი, ბერი, ჰიცლსბერგერი, ი. ტეილორი, ჯ. ბოატენგი (სტოუნი 88), მ. ჰაჯი (ბალაბანი 75), ჰ. ანხელი, კრუში (ვასელი 75)

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, დისტინი, სოლანო, დაიერი, ჯენასი, რობერი (ბერნარი 83), შირერი, კორტი (აკუნია 83)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

მსაჯი: დანი

36 597 მაყურებელი

**ბობი რობსონის** „ნიუკასლი" ბირმინგემში მოგებით კიდევ უფრო დაუახლოვდებოდა ჩემპიონთა ლიგის საგზურს და ადევნებულ „ჩელსისაც" ერთბაშად ხუთი ქულით და ნაკლები თამაშით ჩამოიტოვებდა. ასე არ მოხდა და „ნიუკასლმა" მხოლოდ ქულა წაიღო „ვილა პარკიდან", თუმცა ურიგო არც ეს შედეგი გამოდგა.

„ასტონ ვილა", რომელმაც ბოლო რვა ტურში ერთადერთხელ მოიგო, მაინც კერკეტი გუნდია და ჭიდაობაც გვარიანი გამოვიდა. არადა, სტუმრები მესამე წუთზე დაწინაურდნენ, როცა ლორან რობერის დარტყმულ, ძელიდან ასხლეტილ ბურთს ალან შირერმა მიუსწრო და თავისი 199-ე პრემიერლიგური გოლი გაიტანა.

მასპინძელთაგან ნიჭიერმა ახალბედამ გაათანაბრა. ტანმაღალი პიტერ კრუში ერთი კვირის გადმოყვანილია პირველი დივიზიონის „პორტსმუთიდან" და უკვე აალაპარაკა ინგლისური მედია. კრუში ყველაზე მაღალი (187 სმ) მოთამაშეა პრემიერლიგაში და გოლიც თავურით შეაგდო 26-ე წუთზე, ნიკოს დაბიზასს აჯობა გარეთ ბერის კროსისთვის ბრძოლაში.

გატანა ორივე გუნდს შეეძლო: აქეთ ხუან პაბლო ანხელმა გაუშვა ნაღდი შანსი, იქით პიტერ შმაიხელმა აუღო რობერს. კირონ დაიერიც ახლო იყო მიზანთან და რომ გაეტანა თავის სამთვიან უგოლო ციკლს დაასრულებდა.

**ირაკლი გაგუნაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 32 | 20 | 9 | 3 | 66:32 | 69 |
| ლივერპული | 33 | 20 | 8 | 5 | 55:26 | 68 |
| მანჩესტერი | 33 | 21 | 4 | 8 | 82:44 | 67 |
| ნიუკასლი | 32 | 18 | 6 | 8 | 61:43 | 60 |
| ჩელსი | 33 | 15 | 12 | 6 | 60:32 | 57 |
| ლიდსი | 33 | 14 | 12 | 7 | 48:36 | 54 |
| ტოტენჰემი | 33 | 13 | 6 | 14 | 44:47 | 45 |
| ასტონ ვილა | 33 | 10 | 13 | 10 | 38:40 | 43 |
| ვესტ ჰემი | 32 | 12 | 7 | 13 | 39:50 | 43 |
| მიდლსბრო | 33 | 11 | 9 | 13 | 32:39 | 42 |
| ჩარლტონი | 33 | 10 | 11 | 12 | 35:41 | 41 |
| ევერტონი | 33 | 10 | 9 | 14 | 38:46 | 39 |
| საუთჰემპტონი | 33 | 10 | 8 | 15 | 39:49 | 38 |
| სანდერლენდი | 33 | 10 | 8 | 15 | 26:42 | 38 |
| ფულემი | 33 | 8 | 12 | 13 | 31:40 | 36 |
| ბოლტონი | 33 | 8 | 12 | 13 | 38:53 | 36 |
| ბლეკბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 42:43 | 35 |
| იფსვიჩი | 33 | 8 | 9 | 16 | 39:52 | 33 |
| დერბი ქაუნთი | 33 | 8 | 5 | 20 | 30:54 | 29 |
| ლესტერი | 33 | 4 | 10 | 19 | 24:58 | 22 |

## ავსტრია

29-ე ტური: აუსტრია — ზალცბურგი 1:0; ტიროლი — ადმირა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 29 | 21 | 4 | 4 | 54:10 | 67 |
| გრაცერი | 28 | 12 | 10 | 6 | 53:35 | 46 |
| შტურმი | 28 | 12 | 10 | 6 | 43:30 | 46 |
| აუსტრია | 29 | 11 | 9 | 9 | 39:30 | 42 |
| კერნტენი | 28 | 12 | 6 | 10 | 30:35 | 42 |
| ზალცბურგი | 29 | 10 | 8 | 11 | 28:30 | 38 |
| რაპიდი | 28 | 8 | 8 | 12 | 26:34 | 32 |
| ბრეგენცი | 28 | 8 | 8 | 12 | 38:56 | 32 |
| რიდი | 28 | 7 | 8 | 13 | 31:43 | 29 |
| ადმირა | 29 | 3 | 5 | 21 | 18:57 | 14 |

## შოტლანდია

გადადებული მატჩი: სტ. მირენი — ჰარტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიკ თისლი | 32 | 17 | 8 | 7 | 57:34 | 59 |
| ერდრი | 32 | 14 | 10 | 8 | 55:36 | 52 |
| ეარი | 32 | 11 | 11 | 10 | 50:43 | 44 |
| როს ქაუნთი | 32 | 12 | 8 | 12 | 44:39 | 44 |
| არბროთი | 32 | 13 | 5 | 14 | 39:53 | 44 |
| ინვერნესი | 32 | 12 | 7 | 13 | 56:49 | 43 |
| კლაიდი | 32 | 11 | 9 | 12 | 46:52 | 42 |
| სტ. მირენი | 32 | 10 | 11 | 11 | 39:48 | 41 |
| ფოლკირკი | 32 | 10 | 6 | 16 | 47:69 | 36 |
| რეით როვერსი | 32 | 7 | 11 | 14 | 48:58 | 32 |

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

### II ჯგუფი. V ტური

**ორიენტე პერტოლერო (ბოლივია) 1:0 12 დე ოქტუბრე (პარაგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| 12 დე ოქტუბრე | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | 9 |
| ორიენტე პერტოლერო | 5 | 2 | 0 | 3 | 10:11 | 6 |
| სიენსიანო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |

### VIII ჯგუფი. V ტური

**ოლიმპია (პარაგვაი) 1:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ონსე კალდესი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| ოლიმპია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ფლამენგო | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |




☎ (877) 72 08 26

**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა
დიდი ზალით, დიდი სამზარეულოთი
და ორი საძინებელი ოთახით
(მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს), 39-48-29 (დილით). კახა


# უეფას თასი

## ნახევარფინალი. დღეს

UEFA CUP

*ნახევარფინალში სუსტი გუნდები არ არსებობენო, ამბობენ. ჰოდა, დღეს გასამართი მატჩებისადმი ინტერესიც დიდია. ფინალი 8 მაისსაა როტერდამის „დე კუიპზე". ფინალში გასვლა ყველას სურს, მით უმეტეს, „ფეიენოორდს". ცხადია, არც სხვები იტყვიან უარს, თუმცა... საფეხბურთო ევროპა მილანური დერბის მოლოდინშია. საქომაგო ჩვენც გვაქვს. ვინძლო უეფას თასს შემორჩენილი ერთადერთი ქართველი კახა კალაძე თავის გუნდთან ერთად ფინალში ვიხილოთ.*

# ჯერ აქ გადახტი და კუიპი მერე დაიძახე

## დორტმუნდი — მილანი

### სავარაუდო შემადგენლობები

ლემანი, ევანილსონი, ვიორნსი, მეცელდერი, ჰაინრიხი, როიტერი, დედე, რიკენი, როსიცკი, ამოროზო, იან კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

აბიატი, კონტრა, ლაურსენი, მალდინი, კალაძე, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი, პირლო, ინძაგი, ხოსე მარი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

**„ვესტფალენშტადიონზე"** ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არ იქნებაო, წერს „ბილდი". კარლო ანჩელოტის სამწყსოს სრულ მზადყოფნაში დაუხვდებიან მათიას ზამერის დაგეშილი ბიჭები. „ბორუსიას" დამრტყმელი ტრიო — როსიცკი-ამოროზო-კოლერი ცხადია, „მილანის" დაცვის გაბდღვნას ეცდება. იმ დაცვისა, რომელიც დღეს ანჩელოტის ოთხკაციანი ეყოლება — რუმინელი კონტრა მარჯვნივ, დანიელი ლაურსენი და უბერებელი და გამოჯანმრთელებული მალდინი ცენტრში და ჩვენებური კახა კალაძე მარცხენა ფლანგზე გამწესდებიან.

„თუ გვსურს, „მილანს" მოვუგოთ, ყველაფერი უნდა გავიღოთ. ბუნდესლიგის ბოლო ტურში „შტუტგარტთან" 2:3 მარცხმა მოტივაცია გაგვიორკეცა. მარსიო ამოროზოსი მეიმედება. იგი მშვენივრად იცნობს მეტოქეს. ჩვენთან გადმოსვლამდე ხომ „უდინეზეში" და „პარმაში" ბურთაობდა, „მილანისთვის" გოლიც გაუტანია. მსურს, დღესაც იგივე მოიმოქმედოს" — ამბობს მათიას ზამერი, რომელსაც ფეხბურთელობისას მილანშიც უთამაშია, ოღონდ „ინტერის" შავ-ლურჯი მაისურით.

კარლო ანჩელოტის დღესაც არ ეყოლება ტრავმამოუშუშებელი უკრაინელი მეგოლე ანდრეი შევჩენკო, რომელიც შინ დარჩა და ტელევიზორთან უქომაგებს თავისიანებს. სამაგიეროდ, მწყობრში ჩადგა პორტუგალიელი მანუელ რუი კოშტა, თუმცა კარლეტო გარისკვას არ აპირებს, მის ნაცვლად, სავარაუდოდ, პირლოს ათამაშებს და თუ საქმეს დასჭირდა, რუი კოშტას შეცვლაზე შეუშვებს. თავდასხმაში პაპო ინძაგის ესპანელი ხოსე მარი შეუწყვილდება, თუმც შესაძლოა, მარკო სიმონეც გამოჩნდეს.

„ბორუსიას" კარს კვლავაც იენს ლემანი დაიცავს. ბუნდესლიგაში ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ევროთასებზე არ ვრცელდება და სათადარიგო ფილიპ ლაუქსიც სკამზე გადაჯდება.

**გიორგი გაგნიძე**



მარსიო ამოროზო: ღმერთო, დღესაც გამატანინე

## ინტერი — ფეიენოორდი

### სავარაუდო შემადგენლობები

ფონტანა, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, შიმიჩი, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, კონსეისაუ, რეკობა, ვიერი, ვენტოლა

მწვრთნელი: ექტორ კუპერი

ზუტებირი, ემერტონი, დე ჰაანი, ვან გობელი, რჟასა, ვან პერსი, ბოსველტი, კალუ, ონო, ვან ჰოიდონკი, ტომასონი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

მილანი. „სან სირო". მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)



„ინტერის" კოლუმბიელი მცველი ივან კორდობა როტერდამელებს უფრთხის და დაბმას უპირებს

**პრობლემები** მოსძალებია როტერდამელთა თავკაც ბერტ ვან მარვიიკს, დაშავებულ კეეს ვან ვონდერენს, გლენ ლოოვენსს და ჩივარდ შპროკელს კვირას მცველი პატრიკ პაუვეც მიემატა. პაუვემ ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩში „ვალვაიკთან" კოჭი იტკინა, თუმცა, გუშინდელი ცნობით, კლუბის ექიმები მწვრთნელს აიმედებენ, ყველაფერს ვიღონებთ, რათა პატრიკმა ითამაშოსო. ვან მარვიიკი, ალბათ, მათ არყოფნაში ფერი დე ჰაანს და ულრიხ ვან გობელს დაეყრდნობა.

„ინტერი" ბრწყინვალე გუნდია და ჩინებულადაც თამაშობს. შეუძლია, საშინელ წნეხში მოგაქციოს და ერთი გოლი მაინც გაგიტანოს, ამიტომაც ყურადღებით უნდა ვეთამაშოთ" — აცხადებს ბერტ ვან მარვიიკი.

და კუპერი? არგენტინელი ტაქტიკოსი თავისი ზედიზედ მეორე საევროთასო ფინალისთვის ემზადება. მისმა ბიჭებმა მშვენივრად იციან, ვისთან ელით „საქმის გარჩევა". კოლუმბიელი ცენტრალური მცველი ივან კორდობაც „ფეიენოორდის" სიძლიერეზე ალაპარაკდა: „ჩვენი მეტოქის „პსვ ეინდჰოვენთან" თამაშს ვუყურე და საოცრად მოვიხიბლე. ბრძოლისუნარიანი, მტკიცე, ურყევი ხასიათის გუნდია. ნუ დაგვავიწყდება მათი სურვილიც, ფინალი მშობლიურ სტადიონზე ითამაშონ, ამიტომ თავს შეგვაკლავენ".

„ინტერს" დისკვალიფიცირებული მეკარე ფრანჩესკო ტოლდო არ ეყოლება, მის ნაცვლად კარში სათადარიგო ალბერტო ფონტანას ვიხილავთ. ექტორ რაულ კუპერი უეფას თასის მატჩებში ნაცნობ ლუქტს — ვიერი-ვენტოლას უპირებს გამწესებას თავდასხმაში, რომელთაც ფლანგებიდან ურუგვაელი ალვარო რეკობა (მარცხნივ) და პორტუგალიელი სერჟიუ კონსეისაუ (მარჯვნივ) მოამარაგებენ პასებით. ბრაზილიელ სუპერვარსკვლავ რონალდოს ჯერ სათადარიგოთა სკამზე მოუჩენენ ადგილს, მერე თუ კუპერი საჭიროდ ჩათვლის, მინდორზეც შეუშვებს.

და მაინც. დღევანდელის გარდა წინ საპასუხო მატჩებიცაა, მაგრამ უეფას თასის ფინალში მილანური დერბი დიდებული უნდა იყოს, ღმერთმანი...

**ლადო ტანია**

# უნგრეთმა პუშკაში დაკრძალა

## დი სტეფანომ გენიალურ ცაციასთან ხელები აწია

„გენიალური ცაცია" ფერენც პუშკაში 2 აპრილს 75 წლის გახდა. ეს ამბავი უნგრულმა საფეხბურთო საზოგადოებამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. გაზეთების თავ-ფურცლები მისი ფოტოებით აჭრელდა, ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე" კი ლეგენდას 70 ათასამდე აღფრთოვანებული ქომაგი მიესალმა.



„უემბლიზე" ლეგენდარული მატჩის კაპიტნები: ფერენც პუშკაში (მარცხნივ) და ბილი რაიტი

პუშკაშს უკვე ორი წელიწადია ათეროსკლეროზი აწუხებს, მაგრამ, როგორც ჩანს, იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს. საიუბილეოდ მან სიმბოლური დარტყმაც შეასრულა, რომელიც ზოგიერთ ფოტორეპორტიორს ვერ გადაუღია და დარტყმის გამეორება უთხოვიათ, რაზედაც პუშკაშს მიუგია, ჩემი ფორმის პიკი უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდაო და გამეორებაზე თავაზიანი უარი უთქვამს. განთქმულ „ნეპშტადიონს" კი ამიერიდან ფერენც პუშკაშის სახელობისა ეწოდა.

საღამოს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ და სპორტის სამინისტრომ დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში საზეიმო ვახშამი გამართეს, რომელზეც პუშკაშის უამრავმა მეგობარმა მოიყარა თავი, მათ შორის გამორჩეული ადგილი ეჭირათ უნგრეთის „დიდი გუნდის" მეკარე დიულა გროშიჩს, თავდამსხმელ იენო ბუზანსკის და რა თქმა უნდა, ლეგენდარულ რეალელ ალფრედო დი სტეფანოს. მილოცვები და გახსენებები უამრავი იყო, თავად პუშკაშსაც მოუხერხებია და ავადმყოფობის მიუხედავად გვარიანად უმხიარულია.

ძველი ჟურნალისტები ამბობენ, 50-იანი წლების დასაწყისში პუშკაშის დარი თავდამსხმელი ევროპაში არავინ იყოო. თავის დროზე „კიშპეშტისა" და „ჰონვედის" ფეხბურთელი 1956 წლის გადატრიალების შემდეგ კომუნისტურ მთავრობას გაექცა და სამშობლოში 1992 წელსღა დაბრუნდა.

მისი ნამდვილი გვარი გერმანული წარმოშობის პურჩფელდია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პუშკაში გახდა, რაც უნგრულად იარაღს ნიშნავს.

1958-ში, 31 წლისა ესპანეთში გადაბარგდა და მიუხედავად იმისა, რომ ფიფასგან ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯილიყო, „რეალის" პრეზიდენტმა სანტიაგო ბერნაბეუმ მაინც სიხარულით მიიღო. კარგა ხნის უთამაშებელ პუშკაშს 12 კილოგრამი ზედმეტი წონა ჰქონდა და გუნდის მაშინდელ მწვრთნელ ლუის კარნილიას შემადგენლობაში შეყვანა არ უნდოდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ძველი ფორმა დაიბრუნა და დაიწყო... პირველივე მატჩში „ჩამარტინაზე" (ასე ერქვა „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონს) ხიხონის „სპორტინგს" სამი ბურთი გაუტანა. მალე კი ლეგენდარული „რეალის" ერთ-ერთი მთავარი კაცი გახდა, ხუთჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასები მოიპოვა, ჯამში კი 1967 წლამდე 261 მატჩში 236 გოლი შეაგდო.

პუშკაში ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც ჩემპიონთა თასის ორ ფინალში (1960 და 62 წლებში) პოკერი და ჰეთ თრიქი შეუსრულებია.

ამბობენ, მისებრ ცაციათი ვერავინ თამაშობდაო. „რეალში" პირველი ვარჯიშისას განცვიფრებულ დი სტეფანოს წამოუძახია: პუშკაში მარცხენა ფეხით უკეთ იმორჩილებს ბურთს, ვიდრე მე ხელითო..

...ახალ თაობას პუშკაშის თამაში არ უნახავს და არ იცის რამდენი დაკარგა. ზოგს ჰგონია, რომ უნგრელს მხოლოდ უძლიერესი დარტყმა ჰქონდა, მაგრამ ეს მართალი არ არის. მის ყოველ მოძრაობაში გონიერება და ნიჭიერება გამოსჭვიოდა. ვფიქრობ, ფეხბურთის ისტორიაში არც ერთ გუნდს ჰყოლია ისეთი ძლიერი თავდასხმა, როგორიც მაშინდელ „რეალს" — წერს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში დი სტეფანო.

„რეალში" მისვლამდე პუშკაში უკვე განთქმული ვარსკვლავი იყო. 1952-ში უნგრეთის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, 1953-ში იმ ლეგენდარული მატჩის მთავარი პერსონაჟი გახლდათ, უნგრელებმა ინგლისელებს „უემბლიზე" 6:3 რომ მოუგეს. ერთი წლის შემდეგ კი შვეიცარიის მსოფლიოს თასზე პუშკაშის კაპიტნობით უნგრეთის „დიდი გუნდი" სასწაულად ვერ გახდა ჩემპიონი, ფინალში მოულოდნელად დასავლეთ გერმანიასთან წააგო. ეროვნულ გუნდში პუშკაშმა 84 მატჩში 83 გოლი გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, ფენომენალური შედეგია.

თამაში ორმოცი წლისამ დაამთავრა, მერე ესპანურ „ალავესსა" და „მურსიას" წვრთნიდა, მოგვიანებით კი საბერძნეთის, ჩილეს, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, პარაგვაისა და ავსტრალიის სხვადასხვა გუნდებს თავკაცობდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

### ფეხბურთის რუკაზე



**ესპანური** „ბეტისის" თავდამსხმელ დანის გადაუწყვეტია, კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელოს. შეგახსენებთ, რომ ბოლო დრომდე დანი სარეზერვო გუნდში ირიცხებოდა და მხოლოდ კასასის, ჟოაუ ტომასისა და ამატოს ტრავმების გამო ათამაშეს ძირითად შემადგენლობაში და ძალიან წარმატებულადაც, რითაც „ბეტისის" თავკაცი ხუანდე რამოსიც მოიხიბლა და წინადადებამაც არ დაახანა.

**სენეგალის ნაკრების თავკაცი ბრუნო მეტსუ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სავარაუდოდ, გადადგება. საქმე ისაა, რომ მან მეტად მაცდური წინადადება მიიღო არაბეთის გაერთიანებული საამიროების ფეხბურთის ფედერაციისგან. „მოლაპარაკება არაბებთან მართლაც მქონდა. თანახმა ვარ, მათ ნაკრებს ჩავუდგე სათავეში, თუმც ეს ბევრს არ ნიშნავს. ყველაფერი მუნდიალის შემდეგ გადაწყდება" — განაცხადა სენეგალის ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა.**

**შოტლანდიური** „ჰიბერნიანმა" ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ზიტელი გაუშვა. მისი კონტრაქტი „ჰიბერნიანთან" ზაფხულში მთავრდებოდა, თუმც 31 წლის ფეხბურთელმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და წასვლა ამჯობინა. კლუბის ამჟამინდელმა თავკაცმა ბობ უილიამსონმა ზიტელის გამოუცხადა, ჩემს გეგმებში ვერ ჯდებიო. „ახლა ევროპაში სატრანსფერო სეზონი დახურულია, ამიტომ შესაძლოა, კვლავ „ჰიბერნიანში" ვივარჯიშო. თუმც თუ ესპანეთში ან საფრანგეთში თამაშის საშუალება მომეცემა, აუცილებლად დავთანხმდები" — თქვა ზიტელიმ.

**ინგლისური „არსენალის" თავკაც არსენ ვენგერის თქმით, ეშლი კოული მალე გამოჯანმრთელდება და ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაეხმარება. „კოულის ტრავმა ჩვენთვის სამწუხარო ამბავი იყო, თუმც სერიოზული არაფერია. დარწმუნებული ვარ, ის მუნდიალზე ინგლისის ნაკრებს დაეხმარება. ახლა კი უფრო მეტად პრემიერლიგის მოგებაზე ვფიქრობთ. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება" — განაცხადა ვენგერმა.**

**იტალიური** „პარმას" ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ტაფარელი სერია A-ს ბოლო ტურში „მილანთან" მატჩში დაშავდა. ტაფარელს უკვე ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევა, თუმც ჯერჯერობით უცნობია, როდის შეძლებს ის მოედანზე დაბრუნებას. „პარმას" მეორე მეკარე სებასტიან ფრეი კი უახლოეს მომავალში განაახლებს ვარჯიშს.




24 მაისს ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე ყველა ნაკრების სრულ შემადგენლობას გამოაქვეყნებს, თუმცა მუნდიალზე მონაწილე ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს 21 მაისამდე აქვთ ბოლო ვადა განაცხადების წარსადგენად. თითოეულ ეროვნულ გუნდს კი მოგეხსენებათ, კორეა-იაპონიაში 22 ფეხბურთელი წარმოადგენს, აქედან, სამი მეკარე.

წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე, საფრანგეთში ფიფას განაცხადებთან დაკავშირებით ოდნავ განსხვავებული წესი ჰქონდა. ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ნაკრების მწვრთნელებს 35 ფეხბურთელი უნდა დაესახელებინათ, რომელთა რიცხვს ერთი თვის განმავლობაში შეამცირებდნენ.

# საიდუმლო ტურნირი



*„მონტი პიტონის ცირკი" ძველისძველი შოუა, რომელსაც ჩარლი ჩაპლინის დროინდელი ისტორია აქვს. კომპანია „ნაიკმა" ახლა ეს უძველესი სეირობა თავისსავე რეკლამაში გამოიყენა.*



*სარეკლამო დადგმას „საიდუმლო ტურნირი" ჰქვია და ორიოდ სიტყვით მისი სიუჟეტი ასეთია — უცნობილესი ვარსკვლავები, რობერტო კარლოსი (ზედა ფოტოზე), ლუიშ ფიგუ, ტიერი ანრი, რონალდო, ფრანჩესკო ტოტი გლადიატორულ ორთაბრძოლას გაუმართავენ ერთმანეთს ძველ საცირკო არენაზე. ხმლებისა და შუბების ნაცვლად აქ მათი იარაღი ბურთია. ტურნირის გამარჯვებული კი ისაა, ვინც პირველ გოლს გაუტანს მეტოქეს.*

*შეჯიბრის ორგანიზატორად ერიკ კანტონა (ქვედა ფოტოზე) გვევლინება, რომელმაც ამ რთული მატჩის მსაჯობაც ითავა.*

*ახალი სარეკლამო კლიპი უკვე გამოვიდა ტელეეკრანებზე. ეს გადალება „ნაიკის" ადრინდელ რეკლამას ნაგავს, რომელშიც ვარსკვლავები და მათ შორის კანტონა ჯოჯოხეთის მოციქულებს ებრძთავებიან.*

# რომას ტოტი ჩაუტყდა



ფრანჩესკო ტოტის (№10) ინგლისთან მატჩის ჩამთავრება არ დასცალდა

**წინა ოთხშაბათს** ლიდსში, ინგლისის ნაკრებმა ის ტოტი მოჭრა, რომელზედაც სერია A-ს ჩემპიონობისთვის მებრძოლი დედაქალაქური „რომა" იჯდა — ეს ხუმრობით. ახლა კი სერიოზულად მოგახსენებთ, რომ ინგლისი — იტალიის ამხანაგურ მატჩში „რომას" თილისმა ფრანჩესკო ტოტი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ამის გამო რომაელთა კაპიტანი კლუბს სერია A-ს ბოლო ტურში „ბოლონიასთან" 3:1 მოგებულ მატჩში დააკლდა. ეს ყველაფერი აქამდეც ვიცოდით, გუშინ კი გაირკვა, რომ ტოტი კიდევ სამ კვირას ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

— სამედიცინო გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მკურნალობა მჭირდება. ეს ჩემთვის ძალიან სამწუხაროა. სეზონის ბოლოა და უმნიშვნელოვანესი თამაშები მელოდა — განაცხადა ნირწამხდარმა ფეხბურთელმა.

სერია A-ს დასრულებამდე ხუთი ტური და დარჩა, ტოტის გამოჩენას კი მხოლოდ ბოლო ორ ტურში უნდა ველოდოთ. ეს ფაბიო კაპელოსთვის, რა თქმა უნდა, უდიდესი დანაკლისია...

თუმც ფაბიო კაპელოს მხცოვანი ჯოვანი ტრაპატონიც ალალად თანაუგრძნობს. 17 აპრილს მილანში იტალია — ურუგვაის ამხანაგური მატჩია და ფრანჩესკო ტოტის, სავარაუდოდ, ამ შეხვედრის გამოტოვებაც მოუწევს.

— ფრანჩესკოს ამბავი ძალიან სამწუხაროა. ის ჩვენთვის დიდი ძალაა. იმედი მაქვს, მწყობრში მალე ჩადგება და ნაკრებსაც დაეხმარება — განაცხადა დონ ტრაპიმ.

**კახა შალამბერიძე**

# მსოფლიოს ჩემპიონატი

**E ჯგუფი: გერმანია, საუდეთი, ირლანდია, კამერუნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ფართობი:** 1 960 582 კმ²
**მოსახლეობა:** 22 020 000
**დედაქალაქი:** ერ რიადი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1959 წელს
ფიფას წევრი 1959 წლიდან
აზიის კონფედერაციის წევრი 1972 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ბინ აბდულ აზიზ სულთან ბინ ფაჰადი
**გენერალური მდივანი:** საიდ ალ ჯამანი
**სტადიონი:** „მალაზი" (30 000)
**მწვრთნელი:** ნასარ ალ ჯოხარი
**კაპიტანი:** სამი ალ ჯაბერი
**ფორმა:** თეთრი მაისურა, მწვანე ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ალ ჰილალი", „ალ აჰლი", „ალ ნასრი", „ალ იტიჰადი", „ალ იტიფაქი", „ალ შაბაბი", „ალ რიადი", „ალ ვეჰდა"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 35




## არის ასეთი ქვეყანა

საუდის არაბეთში „ჰაშ-ორი-ო" მეტისმეტად უცხო ტერმინია, თორემ ნავთობი იმდენი დის, ამაზონი მონაგონი იქნება. წყაროს წყლის ფონზე ნავთი და ბენზინი ჭირსაც წაუღია, მაგრამ ასდოლარიანებით ტუალეტში სიარულიც არ ჩანს ურიგო შეგრძნება და არაბ შეიხებს ამის საშუალებას ნავთობი აძლევთ. სწორედ საუდის არაბეთის ნაპირებთან, წითელ ზღვასა და სპარსეთის ყურეში, ტანკერების კონცენტრაცია მსოფლიოში უმაღლესია, თუმც არაბეთი ამით როდია უნიკალური.

იქაურ ხორშაკიან უდაბნოებში, — სადაც „კარგი, ცუდი, მახინჯის" ტიპის ვესტერნები იდეალურად გადაიღება — დღესაც ათასობით ბედუინი დაჭენაობს აქლემებითა და განთქმული არაბული ცხენებით. დაჭენაობდნენ 1400 წლის წინაც, წერა-კითხვა არ იცოდნენ და ერთგულად გაჰყვნენ მაჰმადს, რომელმაც ისინი ახალ გზაზე შეაყენა რელიგიური და გეოგრაფიული მნიშვნელობით. დღეს რუბ ელ ჰალის და სხვა უდაბნოებიდან წამოსული ბედუინების ჩამომავლებს უკავიათ აფრიკის მთელი ჩრდილოეთი და აზიის ხოლიდური ნაჭერი, ხოლო არაბული აფეთქების ეპიცენტრში მხოლოდ 10 მილიონი კაცი დარჩა. არაბებმა უდიდესი კულტურა შექმნეს ბაღდადში, გინდ დამასკოში, ქაიროში ან თუნდაც ესპანეთის გრანადაში, მაგრამ არა იქ, სადაც მათი ფესვებია. საუდის არაბეთში ბედუინებს წერა-კითხვა დღესაც უჭირთ და ყურანის მოსასმენად მექაში სიარულს ამჯობინებენ.

მექა კი მსოფლიო სამაჰმადიანოს ცენტრი გახლავთ.

**დავით გულუა**



# ერთხელ ამერიკაში

## არაბები, რომლებიც მხოლოდ მაშხალებს ისვრიან

**აზიურ** გუნდებს ზერელედ ნუ შეხედავთ — მათ აქვთ იმის ტრადიციები, რომ პატარა, ხან კი დიდი სასწაულები გამოაცხონ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე.

დიდი სასწაული 1966 წელს მოხდა, როცა კომუნისტურმა კორეამ ანუ კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩილეში იტალიას 1:0 მოუგო.

პატარა სენსაცია ანუ სასწაულისმაგვარი კი არცთუ შორეულ წარსულშია საძებარი — საუდის არაბეთი პირველად 1994 წელს მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და მერვედფინალშიც გააღწია.

საუდელები მაშინ F ჯგუფში გამოდიოდნენ. პირველ ტურში ჰოლანდიასთან 1:2 დამარცხდნენ, თუმც პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, მეორეში კი ვინ იონკმა გაქვითა, გამარჯვებისა ტაუმენტმა შეაგდო 87-ე წუთზე. მომდევნო შეხვედრაში არაბებმა მაროკო დაამარცხეს, 2:1, ხოლო ჯგუფის დასკვნით მატჩში მიშელ პრიუდომის, ლორენცო სტალენსის, მარკ ვილმოტსის, ენცო შიფოს და ლუკ ნილისის ბელგია — 1:0.

შედეგად, საუდის არაბეთმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მერვედფინალში შვედეთს გადაეყარა. სკანდინაველებმა 3:1 მოუგეს აზიელებს, მერე რუმინეთი ჩამოიცილეს გზიდან, ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ბრაზილიასთან 0:1 წააგეს, მესამე ადგილისთვის კი ბულგარეთს გადაუხდინეს 4:0. აი, ასეთმა გუნდმა შეაჩერა საუდეთი აშშ-ში. ასე რომ, არაბეთმა ერთხელ უკვე გამოაჩინა ხასიათი, უნარი თუ კლანჭები.

ამერიკის მერე საუდელებმა ერთი შესარჩევი ციკლი ჩააგდეს და ახლა შორეულ აღმოსავლეთში შეეცდებიან ამერიკული მაშხალების სროლას.

კორეა-იაპონიისკენ საუდელმა არაბებმა ეკლიანი და საინტერესო გზა გაწვლეს. შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე ყველა თამაში მოიგეს, მაგრამ მერე დიდ სირთულეებს წააწყდნენ. არაბებს იუგოსლაველი სპეციალისტი სლობოდან სანტრაჩი წვრთნიდა. მეორე ეტაპის პირველ მატჩში მისმა გუნდმა ბაჰრეინს ვერ მოუგო, მომდევნო შეხვედრაში კი ირანთან წააგო. საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციამ არ დააცადა, სანტრაჩი დაითხოვა და შინაურ მწვრთნელს ჩააბარა ნაკრები. მისი სახელი და გვარი ნასარ ალ ჯოხარია, რომელიც 1994 წლის „ამერიკულ" ნაკრებში გუნდის არგენტინელი თავკაც ხორხე სოლარის თანაშემწე იყო. მისი ხელმძღვანელობით საუდეთის ეროვნულმა გუნდმა ციკლის მესამე ეტაპზე დარჩენილი ექვსივე შეხვედრა მოიგო, თუმც მუნდიალის საგზურის მოპოვებაში არაბებს ფასდაუდებელი სამსახური ბაჰრეინმა გაუწია, ბოლო ტურში ბეჭებზე გააკრა ირანი — 3:1.

1994 წლის გუნდიდან საუდეთის ნაკრებს ოდენ ხუთი ფეხბურთელი შემორჩა — მეკარე მუჰამედ ალ-დეაია, ცენტრალური მცველი აბდულა სულეიმანი, სტოპერები ჰუსეინ აბდულგანი და მუჰამედ შალია ალ ჯაჰანი და ფორვარდი სამი ალ ჯაბერი, რომელსაც ევროპაშიც კი უთამაშია, კერძოდ, ინგლისურ „პორტსმუთში".

ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს, რომ ალ ჯოხარის ნაკრებს ყველაზე უფრო ნახევარდაცვაში უჭირს. ამ რგოლში გუნდს არ ჰყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც როდესმე აზიის მიღმა უთამაშიათ.

საუდეთში ახლა ორი ისეთი ფეხბურთელია, ევროპული კლუბების სკაუტები რომ აკვირდებიან და არაბეთში ვარსკვლავებად მიიჩნევენ.

მუჰამედ ალ შალჰოუბის გვარ-სახელი, ცხადია, ჯერ არავის არაფერს ეუბნება, მაგრამ სამშობლოში ის დიდი პატივით სარგებლობს. ალ შალჰოუბი შემტევი ტიპის ნახევარმცველია და საუდელი არაბები მას ზინედინ ზიდანს ადარებენ. 21 წლის მუჰამედის კლუბს „ალ ჰილალი" ჰქვია და მას იუგოსლაველი სპეციალისტი საფეტ სუშიჩი წვრთნის, რომელსაც თავის დროზე „პარი სენ ჟერმენში" უთამაშია.

საუდის არაბეთის მეორე ჯილდო ვარსკვლავი სალეჰ საქრია. 22 წლის ნიჭიერი მცველი უნივერსალური ფეხბურთელის ტიპია და „ალ იტიჰადის" ღირსებას იცავს.

**დავით თავართქილაძე**



საუდელ ქომაგებს საშინაოდ საქმე დიახაც აქვთ

## განრიგი

| |
|---|
| **1 ივნისი** |
| საპორო (იაპონია). 15.30 საათი |
| „საპორო დომი" |
| საუდეთი – გერმანია |
| **6 ივნისი** |
| საიტამა (იაპონია). 13.00 საათი |
| „საიტამა სტადიუმ 2002" |
| საუდეთი – კამერუნი |
| **11 ივნისი** |
| იოკოჰამა (იაპონია). 15.30 საათი |
| „იოკოჰამა მუნჰაკ სტადიუმი" |
| საუდეთი – ირლანდია |

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**I შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი**

08.02.2001
საუდეთი 6:0 მონღოლეთი
10.02.2001
საუდეთი 3:0 ბანგლადეში
12.02.2001
საუდეთი 5:0 ვიეტნამი
15.02.2001
საუდეთი 6:0 მონღოლეთი
17.02.2001
საუდეთი 6:0 ბანგლადეში
19.02.2001
საუდეთი 4:0 ვიეტნამი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 30:0 | 18 |
| ვიეტნამი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| ბანგლადეში | 6 | 1 | 2 | 3 | 5:15 | 5 |
| მონღოლეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:22 | 1 |

**II ეტაპი. A ჯგუფი**

17.08.2001
საუდეთი 1:1 ბაჰრეინი
24.08.2001
ირანი 2:0 საუდეთი
31.08.2001
საუდეთი 1:0 ერაყი
15.09.2001
ტაილანდი 1:3 საუდეთი
21.09.2001
ბაჰრეინი 0:4 საუდეთი
28.09.2001
საუდეთი 2:2 ირანი
05.10.2001
ერაყი 1:2 საუდეთი
21.10.2001
საუდეთი 4:1 ტაილანდი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:8 | 17 |
| ირანი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:7 | 15 |
| ბაჰრეინი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:9 | 10 |
| ერაყი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:10 | 7 |
| ტაილანდი | 8 | 0 | 4 | 4 | 5:15 | 4 |

## ტიტულები

აზიის ჩემპიონი (3): 1984, 1988, 1996
ვიცე-ჩემპიონი (3): 1986, 1992, 2000
ბრინჯაოს პრიზიორი (1): 1982

## ოპტიმალური შემადგენლობა



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „შს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაცემი

### გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. XXX ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06.04.02 | 18:30 | 1 | 0:3ნიურნბერგი; ვერდერი2:0; 1:1ჰამბურგი **ვოლფსბურგი** V **ჰერტა** 1:3გლადბახი; ნიურნბერგი2:0; 3:0ვერდერი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 | 0:2 | 2:1 3:1 | 2:3 0:0 | 2:1 0:2 |
| 06.04.02 | 18:30 | 2 | 3:4ვერდერი; ჰამბურგი1:1; 2:4კიოლნი **ჰანზა** V **ნიურნბერგი** ვოლფსბურგი3:0; 0:2ჰერტა; 0:1გლადბახი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 | 0:2 | - | - | 2:2 1:1 |
| 06.04.02 | 18:30 | 3 | 0:0ჰამბურგი; კიოლნი3:0; 0:0ლაუტერნი **ბაიერნი** V **ვერდერი** ჰანზა4:3; 0:2ვოლფსბურგი; ჰერტა0:3 | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1,0 | 1,1 | 2,8 | 0:1 | 1:1 2:3 | 2:0 3:1 | 1:0 1:0 |
| 06.04.02 | 18:30 | 5 | 1:1კიოლნი; ლაუტერნი3:0; 2:1მიუნხენი **შალკე** V **ჰამბურგი** ბაიერნი0:0; 1:1ჰანზა; ვოლფსბურგი1:1 | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,0 | 1,1 | 2,6 | 0:0 | 0:2 0:1 | 1:3 1:3 | 2:2 1:4 |
| 06.04.02 | 18:30 | 7 | 4:2ლაუტერნი; მიუნხენი4:0; 2:0შტუტგარტი **ლევერკუზენი** V **კიოლნი** შალკე1:1; 0:3ბაიერნი; ჰანზა4:2 | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1,0 | 1,0 | 4,0 | 2:1 | 1:1 4:1 | - | |
| 06.04.02 | 18:30 | 9 | 2:4მიუნხენი; შტუტგარტი1:2; 0:4კოტბუსი **ზტ. პაული** V **ლაუტერნი** ლევერკუზენი2:4; 0:3შალკე; ბაიერნი0:0 | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 | 1:5 | | | |
| 06.04.02 | 18:30 | 10 | ფრაიბურგი2:0; 0:3დორტმუნდი; ზტ. პაული4:0 **კოტბუსი** V **გლადბახი** ჰერტა3:1; 1:0ფრაიბურგი; ნიურნბერგი1:0 | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,15 | 1,25 | 1,6 | 0:0 | - | - | |
| 07.04.02 | 20:30 | 11 | 2:3შტუტგარტი; კოტბუსი3:0; 5:1ფრაიბურგი **დორტმუნდი** V **მიუნხენი** ზტ. პაული4:2; 0:4ლევერკუზენი; შალკე1:2 | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,0 | 1,15 | 2,45 | 3:1 | 2:3 0:1 | 3:0 1:1 | 0:2 3:1 |
| 07.04.02 | 20:30 | 13 | 0:2კოტბუსი; გლადბახი0:1; დორტმუნდი1:5 **ფრაიბურგი** V **შტუტგარტი** დორტმუნდი3:2; 2:1ზტ. პაული; ლევერკუზენი0:2 | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 | 0:3 | 4:0 0:0 | 0:2 0:1 | 2:0 1:3 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | | 4:0 | 1:1 | 0:1 | 04.05 | 2:1 | 21.04 | 4:0 | 4:1 | 2:1 | 4:1 | 5:0 | 2:0 | 2:0 | 4:2 | 4:1 | 3:1 | : | 29 | 19 | 5 | 5 | 71:33 | 62 | 12 | 1 | 1 | 41:10 | 37 | 7 | 4 | 4 | 30:23 | 25 |
| 2 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 1:1 | | 0:2 | 1:1 | 3:1 | 3:0 | 04.05 | : | 1:0 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 1:1 | 21.04 | 29 | 17 | 7 | 5 | 52:26 | 58 | 9 | 3 | 2 | 25:9 | 30 | 8 | 4 | 3 | 27:17 | 28 |
| 3 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 2:0 | 1:1 | | 3:0 | 21.04 | 4:1 | : | 2:1 | 4:0 | 3:3 | 3:0 | 0:0 | 6:0 | 04.05 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 3:0 | 29 | 16 | 7 | 6 | 54:20 | 55 | 10 | 4 | 0 | 34:6 | 34 | 6 | 3 | 6 | 20:14 | 21 |
| 4 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 3:3 | 1:0 | 5:1 | | 0:0 | 3:0 | 1:4 | 1:0 | 2:1 | 04.05 | : | 2:0 | 2:0 | 3:1 | 21.04 | 3:0 | 4:0 | 3:1 | 29 | 16 | 7 | 6 | 47:28 | 55 | 11 | 2 | 1 | 33:11 | 35 | 5 | 5 | 5 | 14:17 | 20 |
| 5 | ჰერტა ბერლინი (5) | 2:1 | 0:2 | 2:1 | 27.04 | | 5:1 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 6:0 | 3:0 | 2:3 | 14.04 | 2:0 | 1:1 | 2:2 | 3:0 | 29 | 15 | 7 | 7 | 54:32 | 52 | 11 | 2 | 2 | 37:13 | 35 | 4 | 5 | 5 | 17:19 | 17 |
| 6 | კაიზერსლაუტერნი (8) | 2:4 | 14.04 | 0:0 | 0:0 | 4:1 | | 2:1 | 1:3 | 2:2 | 3:2 | 2:2 | 3:2 | 27.04 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 5:1 | 2:1 | 29 | 15 | 4 | 10 | 52:45 | 49 | 9 | 4 | 2 | 34:21 | 31 | 6 | 0 | 8 | 18:24 | 18 |
| 7 | ვერდერი ბრემენი (7) | 2:1 | 1:1 | 1:0 | 14.04 | 0:3 | 1:0 | | 1:3 | 1:2 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 3:2 | 4:3 | 3:0 | 3:2 | 27.04 | 1:1 | 29 | 14 | 4 | 11 | 43:36 | 46 | 9 | 2 | 4 | 23:19 | 29 | 5 | 2 | 7 | 20:17 | 17 |
...მერე კი ქარმა ცვლილების შეტანა „განიზრახა" – თანაც მსაჯის უნებართვოდ...


[illegible] ფოტო

ლადო ბურდულმა (მარცხნივ) ერთი გაიტანა, ერთიც არ ჩაუთვალეს

ქუთაისი
3 აპრილი
16. 00 საათი
ტორპედო
1 000 (ტევადობა 19 432)

## ტორპედო 2:0 გურია

1:0 კვარაცხელია (3), 2:0 იონანიძე (67)
ტორპედო: სტურუა, აბრამიძე, გამეზარდაშვილი, ხვადაგიანი (ძამსაშვილი 58), თოდუა, ქუმოკლიძე, დიდავა, შ. ბაბუნაშვილი (მოროშინი 46), ახალკაცი, ზვ. ქუთათელაძე (იონანიძე 46), ბ. კვარაცხელია
სათადარიგონი: ტოგონიძე, მახვილაძე, აკოფიანი, რაფეიშვილი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
გურია: ჩომახიძე, ქიქავა, ფესნია, მ. სალუქვაძე (ჩხარტიშვილი 46), დიცურია, ჯიქიძე (გალოგრე 76), სულაქველიძე, კიკაჩეიშვილი (კოტრიკაძე 46), კუკულაძე, ლ. ჩხაიძე, ნაროუშვილი
სათადარიგონი: ჭანტურიძე, გიორგაძე
მწვრთნელი: რამაზ დარცხალიაშვილი
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ი. კახიანი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია
ჯარიმა: 15-6; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 6-1; კარში დარტყმა: 7-2; თამაშგარე: 14-7

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 400 (ტევადობა 3 000). 3 აპრილი. 16 საათი

## გორდა 0:4 ვიტ ჯორჯია

0:1 ადამია (8), 0:2 დოლმულაშვილი (24), 0:3, 0:4 წუწუნავა (35, 48)

გორდა: ბათიაშვილი, ბალასანიძე, ებრალიძე, პაპაშვილი (მელაძე 46), კედელაშვილი, ლ. ხმალაძე, თავბერიძე, აფშილავა, ბუკია (ალადაშვილი 46), მონასელიძე (ბურიძე 46), კოტეიშვილი
სათადარიგონი: ბედიაშვილი, ზ. ლაბაძე
მწვრთნელი: თენგიზ კაცია

ვიტ ჯორჯია: ქურაძე, კობიაშვილი, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, თედორაძე (ფიფქიაშვილი 53), დოლმულაშვილი, დ. დოლიძე, ო. გველესიანი (ვ. გოჩაშვილი 46), ადამია, წუწუნავა (მელქაძე 58)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, კვახაძე, სანიკიძე, მ. ცქიფურიშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნეველი

გაფრთხილება: კედელაშვილი (21)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ჯარიმა: 6-13; კუთხური: 4-1; კარისკენ დარტყმა: 2-5; კარში დარტყმა: 7-9; თამაშგარე: 6-11

# გოლლაფდასხმულნი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

**სათასო** ამბიციაგანელებული ჩავიდა „გორდა" ბოლნისში. რუსთაველებს რომ კაპიტულაცია გამოცხადებული ჰქონდათ, მათი სამატჩო შემადგენლობიდანაც გაირკვა, არადა, „ვიტ ჯორჯიასთან" წაგებული პირველი მატჩის 0:1 არ ჩანდა ისეთი ანგარიში, საპასუხო შეხვედრისას ხელს რომ ჩააქნევინებდა „გორდას".

თამაში ბოლნისში მეძვირე ნავთლუღელების მიზეზით ჩატარდა. აქამდე „გორდა" საშინაო მატჩებს „შევარდენზე" მართავდა, მაგრამ ჯიბე რომ შეუთხელდა, ერთჯერადი დახმარება მეზობელ ბოლნისს სთხოვა და ქვემოქართლელებმაც სტადიონი არ დაამადლეს თანარეგიონელებს.

მატჩი ფაქტობრივად მე-8 წუთზე დასრულდა ადამიას გოლისას. ამ ნიჭიერმა თავდამსხმელმა კობიაშვილის პასი შეირგო და ოთხიოდე მეტრიდან აულებელი დაურტყა ბათიაშვილს.

„გორდა" სამის გამტანი არ იყო და ვეტერინარებს ერთი საზრუნავიღა რჩებოდათ — როგორმე ტრავმის გარეშე ჩაემთავრებინათ მატჩი, არადა, ტრავმის ალბათობა მართლაც დიდი იყო. დატბორილ და ატალახებულ ბოლნისურ სარბიელზე ბევრი სათამაშო ეპიზოდისას უხერხულად ეცემოდნენ ფეხბურთელები და ლაფში სრიალით უნებლიედ ფეხებსაც უქვეავდნენ ერთმანეთს.

ვერცხლისწყალივით მოძრავი ადამიას გააზრებულ მოქმედებას მოჰყვა რუსთაველთა კარში გატანილი მეორე გოლი. გიორგიმ ჯერ ლამის ნახევარი „გორდა" მოატყუა და მხაკვრულად დაურტყა ბათიაშვილს, მერე კი მეკარის მიერ მოედნის ფარგლებს გარეთ სასწაულებრივ მოგერიებული ბურთი კუთხურიდან დოლმულაშვილს დაახვა თავზე, მანაც ლამაზი ტრაექტორიით 2:0 გახადა.

მალე მოედანზე მყოფ ტალახში ამოსვრილ ფეხბურთელთაგან ისევ და ისევ ადამიამ ივარგა, საჯარიმოში შეჭრილ წუწუნავას ფეხზე დაახვა ბურთი და პირველი ტაიმის 35-ე წუთისთვის წვიმიან მატჩში მშრალი ანგარიშით აგებდა „გორდა".

მეორე ტაიმი ორი წუთის დაწყებული იყო, წუწუნავამ დუბლი რომ გააფორმა, მან დაცვის შეცდომით ისარგებლა და ხუთიოდე მეტრიდან დაამწუხრა ბათიაშვილი.

ცოტა რამ რუსთაველებზეც ვთქვათ, ალადაშვილის და მელაძის მოედანზე შემოსვლით ოდნავ რომ დაალაგეს თამაში, რასაც კოტეიშვილის ორი სახიფათო იერიში მოჰყვა, მაგრამ ორჯერვე საჯარიმოში დამდგარმა გუბემ შეუშალა რუსთაველ ფორვარდს ხელი.

გოლთან ახლოს იყო შეცვლაზე შესული ლევან მელქაძეც, მაგრამ ამას თავგანწირული ნახტომით ბათიაშვილმა აუღო მახვილი კუთხიდან გასროლილი ბურთი.

ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 23 აპრილს და 4 მაისს, წილისყრა მოეწყობა დღეს 13 საათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა


გიორგი მდივანი ასეთი ბუთხუზა აღარ არის

# ლოქო ქინქმარშია კარგი, მოედანზე პირანია უნდა იყო

*გიორგი მდივანს ბუთხუზობისა და ჭარბი წონის გამო მეგობრებმა „ლოქო" შეარქვეს. იგი მართლაც ზორბა ტანისა იყო, მოძრაობა უჭირდა, თუმც ნიჭი რომ საკმაო ჰქონდა, საფრანგეთის ჩემპიონმა „პო ორტეზმა" იმიტომაც დაადგა თვალი. დღეს 16 წლის მდივანს პოელთა გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და თუ ბოლომდე იქ დარჩა, მეტსახელის გამოცვლა არ ასცდება. თუ რატომ, ჯობს თვით მას მოვუსმინოთ:*

— მწუხარედ, დღეში სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, საშინლად გავხდი. მაგრად კი ვიღლები, მაგრამ ჯობს, გავიჭირვო და ფორმაში ჩავდგე.

**— ძირითად გუნდთან თუ ვარჯიშობ...**

— „პო ორტეზის" ახალგაზრდულ გუნდში ვირიცხები, თუმც დღეში ერთხელ დიდებთანაც მიწევს ვარჯიში. დილის ვარჯიშების შემდეგ 4 საათზე ძირითად გუნდთან ვეშხადები, საღამოს ისევ ახალგაზრდებში ვარ.

**— ფრანგებმა თვითონ მოგიწვიეს თუ...**

— საქართველოს კადეტთა ნაკრებმა შარშან ზაფხულს რიგაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში იასპარეზა. მეც იქ ვიყავი და ფრანგებმა მაშინ დამადგეს თვალი. საქართველოში რომ ჩამოვედი, შემოდგომაზე მოწვევა მივიღე და ოქტომბერში ერთი კვირით ჩავედი საფრანგეთში. შემოწმების შემდეგ სამწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს და ერთ თვეში კვლავ პოს ვეწვიე, მას შემდეგ აქ ვარ. კონტრაქტის გაწყვეტა ყოველი სეზონის ბოლოს შემიძლია.

**— თამაში ხშირად გიწევს?**

— „პო ორტეზის" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობ. საფრანგეთის ჩემპიონატის პარალელურად დუბლებისა და კადეტების პირველობებიც ტარდება. დიდები ვისაც ხვდებიან, მათ მეორე გუნდს ვეთამაშებით.

**— წარმატებით თამაშობ? კმაყოფილნი არიან შენით?**

— თითქმის სულ ხუთეულში ვიწყებ და საშუალოდ 30 წუთი ვარ მოედანზე. ქულებს, მოხსნებს, დაფარებებს საკმარისად ვაგროვებ. ამ ბოლოს 38 ქულა ჩავაგდე. ჩემით ყველა კმაყოფილია, ცუდი არავის უთქვამს. მოკლედ, მოსწონთ ჩემი თამაში.

**— დიდ გუნდში გადასვლის პერსპექტივა თუ გაქვს?**

— ცხადია, აქ იმიტომ ვარ, რომ თუ გავამართლე, პირველ გუნდში მათამაშებენ. აქ საერთოდ ასეა, ძლიერ კლუბებს სხვადასხვა ქვეყნიდან პერსპექტიული ახალგაზრდები ჩამოყავთ და სანამ მის შესაძლებლობებში დარწმუნდებიან, მეორე გუნდში ათამაშებენ. „პო ორტეზის" მეორე გუნდში ყველა უცხოელია და ძლიერებს ძირითადში გზა ხსნილი აქვთ. როგორც ვთქვი, კლუბის ხელმძღვანელები ჩემით კმაყოფილნი არიან და თუ ასე გავაგრძელე, წინ არაფერი დამიდგება. თუ მომავალი სეზონიდან დიდ გუნდში მოვხვდი, კმაყოფილი ვიქნები.

**— როგორც გავიგეთ, ტრავმა გქონია...**

— დაახლოებით ერთი თვის წინ კოჭი ვიტკინე, ყავარჯნებითაც დავდიოდი, მაგრამ ახლა მწყობრში ვარ და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**— როგორ ატყობ, საფრანგეთში საკმაოდ მოუმატე?**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ პირობებში, როგორშიც აქ ვემზადები, შეუძლებელია, თამაშს არ მოუმატო. ევროპის ვარსკვლავებთანაც მიწევს ვარჯიში, აქეთ სათამაშო პრაქტიკა და ვფიქრობ, საკმაოდ მოვუმატე.

**— ცნობილებიდან ვისთან გაქვს ახლო ურთიერთობა?**

— ძმებ პიეტუსებთან, ესტელერთან და განსაკუთრებით უკრაინელ არტურ დროზდოვთან. ისე, ყველა კარგი თვალით მიყურებს და ცდილობენ, გამოცდილება გამიზიარონ.

**— ფრანგული თუ ისწავლე...**

— სკოლაში დავდივარ ენის შემსწავლელ კურსებზე და ენა უკვე გავიტეხე. მალე სრულად ავითვისებ და რომელიმე კოლეჯშიც გავაგრძელებ სწავლას.

**ირაკლი ბერტაია**


**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

შაბათს, 6 აპრილს, 19 საათსა და 30 წუთზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება ევროპის კალათბურთის ფედერაციის (ფიბა-ევროპა) პრეზიდენტის გიორგის გასილაძომულოსის პრესკონფერენცია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია


**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# ბუნების უცნაური მოვლენა ჯორდანი 2

**2 აპრილი**

**მაიამი 87:90 დეტროიტი**

**მაიამი:** სტრიკლენდი (15), ე. ჯონსი (20), გრლი (9), გრანტი (12), მურნინგი (9); ელისი (10), პაუსი (4), ბეტლინგი (4), სტეფანია (7 წუთი, 4 ქულა, 1 დაფარება)

**დეტროიტი:** ეტკინსი (18), სტეკჰაუზი (14), კარი, რობინსონი (13), ვოლესი (4 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება); უილიამსონი (20), რებრაჩა (10), ბერი (18), დ. ჯონსი (3)

მრავალტანჯული „მაიამი ჰითი" ერთხელაც შეეცადა მეპლეიოფეთა შორის შებობღებას, მაგრამ კლდესავით ბენ ვოლესს შეასკდა და დამსხვრეული იძულებით უკუიქცა.

ბენ ვოლესი ვარსკვლავი არ გეგონოთ, მატჩში საშუალოდ ათ ქულასაც ვერ აკეთებს, სამაგიეროდ, შავ მუშებში ყველას სჯობს და მხოლოდ 206 სანტიმეტრიან ცენტრს მოხსნა-დაფარებებში წლეულს ბადალი არ ჰყავს. რეგულარული სეზონი რომ დამთავრდება, მას საუკეთესო დამცველად აღიარებენ, მანამდე კი წინა კვირას საუკეთესო აღმოსავლელისთვის გამზადებული მცირე პრიზი ერგო. ვოლესზე წინ სხვისი დაყენება ცოდვაც იქნებოდა, რადგან მან ოთხიდან სამ თამაშში ოცზე მეტი ბურთი მოხსნა ფარიდან და უამრავ მეტოქესაც დაუფარა.

„მაიამისთან" შეხვედრაში ვოლესის ხახაში ფლორიდელთა ზეცენტრი ალონზო მურნინგი ჩავარდა. მის ხელში მურნინგი მთელი მატჩის განმავლობაში ეწამა, ბევრი ვერ ესროლა, ხოლო რაც ესროლა, იქიდან ზოგი ააცილა, ზოგიც ვოლესის კუნთა მარჯვენამ უკუაგდო. „ეს ბიჭი ახალი დენის როდმანია, მაგრამ არა, უფრო საშინელია. როდმანი კარგი დამცველი იყო, მაგრამ ასე კარგად ვერ აფარებდა" — დაიჩივლა ვოლესისგან სიქაგამძვრალმა მურნინგმა ნამატჩევს.

ზორბა ზოს თავიდანვე შეეტყო, ოპონენტის დამჯაბნი რომ არ იყო და მწვრთნელმა რაილიმ უკანახაზელებით სცადა „დეტროიტის" აგურით ნაგები დაცვის განგრევა. რაილის დამოძღვრილებმა თითქოს დაცვაშიც იმარჯვეს, „პისტონზის" პირველმეტულე ჯერი სტეკჰაუზს ქენდალ გილმა 14 ქულის მეტი არ მოახვეჭინა. სტეფანიას თანამეინახეთა სამწუხაროდ, ცენტრალური დივიზიონში უმჯობესთა მოსარევად ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ლიდერობა სათადარიგოებმა გასწიეს და დამაშვრალმა „მაიამიმ" ამათ ველარაფერი მოუხერხა. აქვე ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიაც ვახსენოთ, რომელმაც სულ შვიდი წუთი იბურთავა და თუმც ორიდან ორი საჯარიმო გააფუჭა, ოთხი ქულა მაინც შეაწია „ჰითს". იგი ხან ბებერევროპელ ჟელკო რებრაჩას იჭერდა, ხან უწინოლსტარელ კლიფ რობინსონს.

**ვაშინგტონი 93:113 ლეიკერსი**

**ვაშინგტონი:** ჰამილტონი (21), ალექსანდერი (19)... ჯორდანი (2)

**ლეიკერსი:** ონილი (22 ქულა, 18 მოხსნა), ბრაიანტი (14)

**ინდიანა 94:105 ბოსტონი**

**ინდიანა:** მილერი (26), ონილი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ბოსტონი:** პირსი (29), სტრიკლენდი (22), მაკკარტი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**მემფისი 83:107 საკრამენტო**

**მემფისი:** სვიფტი (20), გასოლი (15 ქულა, 14 მოხსნა)

**საკრამენტო:** ჯეკსონი (19), ვებერი (18), თურქოღლუ (16)

**ნიუ იორკი 91:85 შარლოტი**

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (26), ანდერსონი (15), ტომასი (11 ქულა, 19 მოხსნა)

**შარლოტი:** მაშბურნი (25), მაღუა (15)

**გოლდენ სტეიტი 107:91 პორტლენდი**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (26), სურა (23), არენასი (22), ჯემისონი (20)

**პორტლენდი:** ვოლესი (20), ველსი (15)

**ჰიუსტონი 100:98 სიეტლი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (32), ლანი (17), მობლი (16)

**სიეტლი:** პეიტონი (25 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), მეისონი (20)

**ატლანტა 100:92 მილუოკი**

**ატლანტა:** ჯონსონი (28), ტერი (19), კუკოჩი (17)

**მილუოკი:** რობინსონი (20), კასელი (20)

**კლივლენდი 101:96 ფინიქსი**

**კლივლენდი:** დევისი (28), მილერი (16 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა)

**ფინიქსი:** მარიონი (28), მარბერი (14)

**დენვერი 98:90 იუტა**

**დენვერი:** ჰოვარდი (20), ჩინი (18)

**იუტა:** სტოქტონი (19 ქულა, 11 პასი), მელოუნი (15 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

აღმოსავლეთის ზერვეულის ყველაზე უშნო წევრმა „ინდიანა პეისერზმა" „ბოსტონს" ვერ მოუგო და ამით ერთხელაც უწყალობა შანსი მის დევნაში ქანცგაწყვეტილ „ტორონტოსა" და „ვაშინგტონს". ცხადია, ეს შეგნებულად არ გაუკეთებია.

„მარდების" მწვრთნელი აიზია ტომასი გუშინწინ გამარჯვებისთვის თვიურ ხელფასსაც გაიღებდა. მწვრთნელობამდე მუდამ მომღიმარ, შემდეგ კი უამრავ ჭირნახულ და ჭირთამთმენ აიზიას მატჩამდე შეგირდებისთვის ისეთი სიტყვა უთქვამს, მათ თუ მკერდში გულები უძგერთ, „ბოსტონისთვის" კი არა, „ლეიკერსისთვის" უნდა მოეგოთ. თავიდანაც ისე დაიწყო, მაყურებელმა იფიქრა, მალე „კელტებისგან" ბუმბული არ დარჩებაო, მაგრამ მატჩის დასკვნით მეოთხედში ყველაფერი შეიცვალა. სტუმრები სამი მეოთხედის განმავლობაში ასე თუ ისე, იცავდნენ საკუთარ კალათს და ბოლო თორმეტწუთეულში მხოლოდ 11-ქულიანი ჩამორჩენით შეაბიჯეს, იქ კი დამაშვრალ ინდიანელებს ერთბაშად კონტრმიეძალნენ და თორმეტი წუთი 36:14, მთლიანად მატჩი კი 11 ქულით იქით მოუგეს.

„ინდიანას" მდევართაგან იმ დღეს მხოლოდ „ვაშინგტონი" თამაშობდა. აიზია ტომასის შერცხვენილ შეგირდებს ამ მხრივ მაინც გაუმართლათ, დედაქალაქელებმა „ლეიკერსთან" წააგეს და წინ ნაბიჯიც ვერ წადგეს.

ნაოპერაციებჯორდანიანი „ვაშინგტონი" ნაღდად არ ჩანდა ჩემპიონთა ჩემპიონ „ლეიკერსის" ტოლი და დედაქალაქელებს არც თავი შეუკლავთ ყველას მკვლელი ლოსანჯელესელებისთვის. თავად ჯორდანი შეცვლაზე შევიდა, ძლივს იძუნძულა 12 წუთი და მეორე ტაიმში საერთოდ მოეფარა ჰორიზონტს. მაიკლმა იმ თამაშში ორად ორი ქულა მიითვალა და პირადი თვალისმომჭრელი კარიერის ანტირეკორდიც დაიმყარა. და ერთიც, „ჩიკაგო ბულზის" მაისურით 13 წლის განმავლობაში ჯადოქრულად მობურთალ ჯორდანს მხოლოდ ერთ თამაშში ვერ ჩაუგდია ათი ქულა, წლეულს კი, რაც „ვაშინგტონს" შველის, უკვე მეხუთედ ვერ შესწვდა ორციფრა მონაგარს.

ჯორდანის ყველაზე არაჯორდანული თამაშის დღეს დამარცხდა ერთ დროს მისი მთავარი მეტოქე „იუტა". იუტელ ჯონ სტოქტონს ამ ორიოდ დღის წინ 40 წელი შეუსრულდა და ამ კიდევ ერთმა დროის მჯობნმა კაცმა სამშაბათს „დენვერთან" 19 ქულა და 11 პასი მოინაგრა. ამის მიუხედავად, „იუტამ" მაინც წააგო, რადგან სტოქტონის გვერდით ძირითადად ისეთი ბიჭები ბურთაობენ, რომლებიც ამას არ იმსახურებენ.

**ირაკლი ფირაშვილი**


„დენვერი" — „იუტა". იუტელი ანდრეი კირილენკო ვოშონ ლენარდს ცხვირწინ აუფრინდა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 47 | 27 | 63,5 |
| დეტროიტი | 45 | 29 | 60,8 |
| ბოსტონი | 43 | 32 | 57,3 |
| ორლანდო | 40 | 33 | 54,8 |
| მილუოკი | 38 | 35 | 52,1 |
| ფილადელფია | 38 | 35 | 52,1 |
| შარლოტი | 38 | 35 | 52,1 |
| ინდიანა | 36 | 37 | 49,3 |
| ტორონტო | 35 | 38 | 47,9 |
| ვაშინგტონი | 34 | 40 | 45,9 |
| მაიამი | 32 | 41 | 43,8 |
| ატლანტა | 30 | 44 | 40,5 |
| ნიუ იორკი | 28 | 45 | 38,4 |
| კლივლენდი | 26 | 48 | 35,1 |
| ჩიკაგო | 17 | 56 | 23,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| საკრამენტო | 54 | 19 | 74,0 |
| დალასი | 51 | 22 | 69,9 |
| ლეიკერსი | 53 | 21 | 71,6 |
| სან ანტონიო | 49 | 24 | 67,1 |
| მინესოტა | 45 | 28 | 61,6 |
| პორტლენდი | 44 | 30 | 59,5 |
| სიეტლი | 43 | 32 | 57,3 |
| იუტა | 41 | 33 | 55,4 |
| კლიპერსი | 37 | 37 | 50,0 |
| ფინიქსი | 34 | 40 | 45,9 |
| ჰიუსტონი | 27 | 46 | 37,0 |
| დენვერი | 23 | 50 | 31,5 |
| მემფისი | 19 | 54 | 26,0 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 55 | 25,7 |

დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები. პირველ ორ ადგილზე არიან დივიზიონების ლიდერები

საქართველოს მეთორმეტე ჩემპიონატი ვაჟები

# თამაში იყო ჯიბრიანი

**ჩვენს** ვაჟთა ხელბურთში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდ „შევარდენის" უკონკურენტო ჰეგემონია გრძელდება. უცვლელ ჩემპიონებს მცირედ წინააღმდეგობასაც კი ვერავინ უწევს. ტექნიკოსებს 13 შეხვედრაში ქულაც არ დაუკარგავთ და ზედიზედ მე-12 ტიტულიც, ცხადია, დაბევებული აქვთ.

სამაგიეროდ, დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს მეორე ადგილისთვის. პრეტენდენტი ორია — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული" და „თბილისი". გუშინ ამ გუნდების მეტად პრინციპული მატჩი შედგა. მამულელები ხუთი ქულით უსწრებდნენ მეტოქეს და გამარჯვების შემთხვევაში თითქმის გაინაღდებდნენ ვიცე-ჩემპიონობას, „თბილისს" კი მიზნის მისაღწევად, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. თბილისელებმა ტურის წინ გამოცდილი ვეტერანები — ზაზა გაბრიჩიძე და ბიძინა მინდელი დაიმატეს, ამასთან ბიჭების დასახმარებლად გუნდის მწვრთნელი ელიზბარ არსენაშვილიც გავიდა მოედანზე.

წინა ორივე შეხვედრის მსგავსად, რომლებშიც „მამულმა" მიაღწია წარმატებას (26:25; 26:23), გუშინდელიც თავიდანვე მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა. ანგარიშში სხვაობა თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ერთ-ორ ბურთს არ ასცილებია. პირველი გოლი „თბილისმა" გაიტანა და მცირე უპირატესობა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა — 15:13.

შესვენების შემდეგ მემამულეები გააქტიურდნენ, უფრო ზუსტად შეუტიეს და მალე ანგარიშიც გაათანაბრეს, მეათე წუთზე კი უკვე თავად დაწინაურდნენ ორი ბურთით — 18:16. მეტოქეებმა მალე აღადგინეს თანაფარდობა და ამის მერე ანგარიში კიდევ ექვსჯერ გაფაიმდა. ბოლოს ისევ თბილისელებმა იყოჩაღეს და ზედიზედ ოთხი გოლის გატანის შემდეგ მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

გამარჯვებულთაგან შედეგიანობით გამოირჩნენ დავით ფორაქიშვილი (9) და შოთა აბჯანდაძე (8). აღსანიშნავია მეკარე დავით ბერიკაშვილის საიმედო თამაშიც, მან სამი 7-მეტრიანი და კიდევ რამდენიმე „მკვდარი" ბურთი მოიგერია. თანაბრად გაისარჯნენ „მამულის" მეგოლეები — გიორგი წივწივაძე (8), ლევან ოსიყმაშვილი (8), გიორგი ზაქარიაშვილი (7).

ჩემპიონისა და დებიუტანტ „ცეროს" შეხვედრაში ბრძოლა პრაქტიკულად არც ყოფილა, „გლდანს" კი უფულობის გამო პირველობიდან მოკვეთილ „მართვესთან" ტექნიკური მოგება ჩაეთვალა.

დღესაც, თორმეტის ნახევარზე, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში საინტერესო მატჩია — „მამულისა" და „გლდანის" დაპირისპირებას ვგულისხმობთ.

**გია ახალაძე**

3 აპრილი

**სტუ-შევარდენი 59:27 ცერო**
**თბილისი 28:26 საუ-მამული**
**გლდანი 10:0 მართვე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 13 | 0 | 0 | +201 | 39 |
| საუ-მამული | 9 | 0 | 4 | +24 | 27 |
| თბილისი | 8 | 1 | 4 | +15 | 25 |
| გლდანი | 5 | 1 | 7 | -51 | 16 |
| მართვე | 3 | 0 | 10 | -44 | 9 |
| ცერო | 0 | 0 | 13 | -145 | 0 |



საუ-მამულელმა ლევან ოსიყმაშვილმა ბურთი ღონივრად გასტყორცნა


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციური კარდიოლოგის კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგეალური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგეალური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33




NHL რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

ატლანტელი იანიკ ტრამბლე კალგარელ ჭემი რაიტს დაეცხრა

# არ ვარგა, როცა შანსს გაურითმავენ ხავსს

2 აპრილი

**ედმონტონი 2:1 მინესოტა 1:0 0:0 0:1 1:0**
1:0 რიზონერი (4), 1:1 პარკი (56), 2:1 გრირი (63)

რაც ძირითადი დროის ბოლოს ვერ მოახერხა, მაიკ გრირს ოვერტაიმში გამოუვიდა ბრწყინვალედ. მატჩის დასრულებამდე წუთები რომ რჩებოდა, ედმონტონის ფორვარდმა ახლო მანძილიდან ორჯერ გაუშვა ხელიდან გატანის შანსი. სამაგიეროდ, დამატებით დროის მე-3 წუთზე გამოისყიდა ყველაფერი, როცა ზუსტი დარტყმით შაიბა დაბალ კუთხეში, ძელის გვერდით გაგზავნა და ფინიშზე შთამბეჭდავად მოასპარეზე „მენავთობეების" ნუსხას მორიგი ორი ქულა შემატა. ბოლო 9 თამაშში ედმონტონმა 17(!) ქულა მიითვლა.

**ვანკუვერი 4:4 ლოს ანჯელესი 1:2 1:0 2:2 0:0**
0:1 დედმარში (2), 1:1 ბერტუცი (8), 2:1 მ. სუდინი (18), 2:2 ბუშე (25), 2:3 შნაიდერი (46), 2:4 ელორანტა (51), 3:4 ჟოვანოვსკი (58), 4:4 ნესლუნდი (59)

როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ებღაუჭება ვანკუვერი პლეი ოფში მოხვედრის ბოლო შანსს და ვინ უშველის მას, თუ არა კაპიტანი?! ძირითადი დროის დასრულებამდე 86 წამით ადრე მარკუს ნესლუნდმა საოცარი გოლი გაიტანა — ტოდ ბერტუცის პასის შემდეგ მან დიდოსტატური პაუზა გააკეთა, მეტოქე მცველი აარონ მილერი ყინულზე დააწვინა, მერე შაიბა ზუსტად მარცხენა ცხრიანში ჩაჭედა.

**სან ხოსე 3:1 ანაჰაიმი 0:0 1:0 2:1**
1:0 გრეიცი (22), 2:0 დამფუსი (48), 3:0 მარლო (57), 3:1 ბოლსონი (60)

**ოტავა 4:3 კაროლინა 2:1 1:0 1:2**
0:1 ონილი (2), 1:1 სალო (4), 2:1 ალფრედსონი (4), 3:1 ბოსა (21), 3:2 უესლი (43), 4:2 ფილიპსი (44), 4:3 ონილი (51)

თუ დასავლეთში საპლეიოფო სიტუაცია ერთობ დახლართულია და მეორე ადგილზე მყოფ კოლორადოსაც კი არ მოუყვანია საქმე ბოლომდე, აღმოსავლეთის მეხუთე გუნდმაც კი დაიბევა საგზური. მორიგი იღბლიანი კი ოტავა გამოდგა, რომელმაც მეკარე პატრიკ ლალიმის (22 მოგერიება ბოლო პერიოდში!) ძალისხმევით შეძლო მეტოქის ძლევა.

**ფილადელფია 2:4 ბოსტონი 2:2 0:1 0:1**
1:0 ოუთსი (6), 2:0 პრიმო (8), 2:1 გილი (15), 2:2 გ. მიური (18), 2:3 გურინი (38), 2:4 როლსტონი (47)

ახლა გაირკვა, ვინ ბატონობს აღმოსავლეთში. მატჩის დასაწყისშივე მიღებული ორშაიბიანი ნოკდაუნის მიუხედავად, ბოსტონმა მაინც თავისი გაიტანა და კონფერენციის პირველ ადგილზე დამკვიდრდა. ფილადელფიამ კი ზედიზედ მეოთხედ [illegible] საოცარი ის არის, [illegible] ლე პლეიმეიკერი ადამ ოუთსი შეუმატათ, „მფრინავებს" მთლად აერიათ რიცხვმრავლობაში თამაში.

**კალგარი 4:2 ატლანტა 1:1 2:1 1:0**
0:1 ჩერნკვისტი (9), 1:1 ნიკოლი (11), 2:1 მაკამონდი (27), 2:2 პიტლი (35), 3:2 მაკამონდი (36), 4:2 იგინლა (49)

ხანგრძლივი უხეირობის შემდეგ ფორვარდებმა ბულიტების გამოყენებას უხშირეს. თუ 5 დეკემბრიდან 2 მარტამდე მათ ზედიზედ 16(!) საჯარიმო დარტყმა გააცუდეს, ბოლო სამი შედეგიანი გამოდგა. უკანასკნელი კი კალგარელ სკოტ ნიკოლის ანგარიშზეა, რომელიც ატლანტელ მილან ჰნილიჩკას იოლად გაუმკლავდა. „მე იაგრი არ ვარ, რომ მეკარე ლამაზი ცრუ მოძრაობებით დავიბრიყვო. ამიტომაც, როგორც კი მივუახლოვდი, დავარტყი, ეს იყო და ეს" — უთხრა ნამატჩევს ნიკოლმა ჟურნალისტებს.

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბოსტონი** | 76 | 42 | 5 | 7 | 22 | 220:183 96 |
| **ფილადელფია** | 76 | 40 | 9 | 3 | 24 | 223:179 92 |
| კაროლინა | 76 | 32 | 14 | 5 | 25 | 203:207 83 |
| **ტორონტო** | 76 | 39 | 9 | 4 | 24 | 224:194 91 |
| **ოტავა** | 77 | 38 | 8 | 7 | 24 | 233:196 91 |
| აილენდერსი | 75 | 37 | 7 | 4 | 27 | 219:108 85 |
| ნიუ ჯერსი | 76 | 35 | 9 | 4 | 28 | 186:177 83 |
| მონრეალი | 76 | 32 | 12 | 3 | 29 | 191:195 79 |
| ვაშინგტონი | 76 | 33 | 10 | 1 | 32 | 211:228 77 |
| რეინჯერსი | 77 | 33 | 4 | 4 | 36 | 211:241 74 |
| ბუფალო | 76 | 32 | 9 | 1 | 34 | 196:188 74 |
| პიტსბურგი | 75 | 28 | 7 | 5 | 35 | 184:220 68 |
| ტამპა | 75 | 25 | 10 | 4 | 36 | 162:197 64 |
| ფლორიდა | 75 | 21 | 7 | 5 | 42 | 163:229 54 |
| ატლანტა | 76 | 19 | 8 | 4 | 45 | 175:267 50 |
| **დასავლეთ კონფერენცია** | | | | | | |
| **დეტროიტი** | 76 | 51 | 8 | 3 | 14 | 239:166 113 |
| კოლორადო | 76 | 42 | 7 | 1 | 26 | 195:159 92 |
| სან ხოსე | 76 | 40 | 8 | 3 | 25 | 227:183 91 |
| ჩიკაგო | 75 | 39 | 12 | 1 | 23 | 204:188 91 |
| ფინიქსი | 76 | 37 | 9 | 6 | 24 | 206:191 89 |
| ლოს ანჯელესი | 76 | 36 | 11 | 4 | 25 | 200:179 87 |
| ედმონტონი | 77 | 36 | 12 | 3 | 26 | 195:172 87 |
| სენტ ლუისი | 75 | 37 | 8 | 4 | 26 | 203:174 86 |
| ვანკუვერი | 77 | 37 | 7 | 3 | 30 | 234:200 84 |
| დალასი | 75 | 34 | 11 | 4 | 26 | 201:196 83 |
| კალგარი | 76 | 30 | 12 | 3 | 31 | 189:203 75 |
| მინესოტა | 76 | 25 | 11 | 8 | 32 | 178:213 69 |
| ნეშვილი | 76 | 26 | 13 | 0 | 37 | 181:212 65 |
| ანაჰაიმი | 77 | 27 | 7 | 3 | 40 | 167:192 64 |
| კოლუმბუსი | 76 | 20 | 8 | 5 | 43 | 152:235 53 |

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

# რუები გახდნენ ზუები

**ანდრე რუა** ტამპას მოთამაშეა. 7-წლიან კარიერაში 14 გოლი გაუტანია და მხოლოდ ბოლო სამი ჩემპიონატია, მუდმივად დაიწყო ძირითად შემადგენლობაში თამაში, მანამდე უფრო ფარმკლუბში ყურყუტებდა. ჰოკეის მოყვარულნი იშვიათად, ოქმებში თუ წააწყდებოდნენ მის გვარს, მაგრამ ორშაბათს ანდრემ თავისი ცნობილი მოგვარე, პატრიკ რუაც კი დაჩრდილა. რეინჯერსთან მატჩში რუამ სენდი მაკარტისთან იჩხუბა (იგი ტამპას ერთ-ერთი მთავარი მოჩხუბარია) და შედეგად საჯარიმო სკამს მიაშურა, მაგრამ უცებ კვლავ გავარდა ყინულზე და მაკარტის ეცა. როცა ერთ-ერთმა თანამსაჯმა მისი დამშვიდება სცადა, მასაც ხელი ჰკრა, მერე რეინჯერსის სათადარიგოთა სკამს მიუახლოვდა და იქ მსხდარი ჰოკეისტების პროვოცირებას შეეცადა.



ანდრე რუა

რუა მატჩის შემდეგ თავს იმართლებდა, სულაც არ ვაპირებდი ყინულზე დაბრუნებას, რადგან ჩხუბში წარბი გამისკდა, მაგრამ მაკარტის ჟესტებმა გამაღიზიანა და ველარ მოვითმინეო.

„მადლობა რუას. გემოზე გვაცინა თავისი ოინბაზობით" — ასეთი იყო რეინჯერსის „პოლიციელ" მეტიუ ბარნაბის რეაქცია. ჩვენ კი დავძენთ, რომ მაკარტის ჟესტები ნჰლ-მა არად ჩააგდო, აი, რუას კი 13-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მას მომდევნო სეზონშიც მოუწევს ექვსი მატჩის გამოტოვება.

ზემოთ რომ ვთქვით, ამ რუამ სახელოვანი პატრიკ რუა დაჩრდილაო, შემთხვევით არ იყო. ზედიზედ მეორე შაბათია, კოლორადოს მეკარე ემოციებს ვერ თოკავს. წინა შაბათის ხათაბალას „წმინდა პატრიკმა" ახალი მოაყოლა: მის კარში ბულიტი დანიშნეს. რუას თქმით, ფანჯი შემთხვევით გაუვარდა ხელიდან, მაგრამ მსაჯებმა ეს განზრახ ჩადენილად მიიჩნიეს. რუა კი ადგა და მეორედაც მოისროლა, თანაც რეფერის მიმართულებით. შედეგად მან 15-წუთიანი ჯარიმა მიიღო, ბულიტიც ვერ მოიგერია, ნჰლ-მა კი 1000 დოლარით დააჯარიმა.

**სამველ ლარიბიანი**

# საკუ, სიკვდილსაც დავიწყებიხარ!

**ჰოკეის** მოყვარულებს ჯერ ისიც ვერ დაუჯერებიათ, რომ პეტერ ფორსბერგს ყინულზე იხილავენ და აი, მორიგი სიურპრიზი — მძიმედ დაავადებული მონრეალელი საკუ კოივუც ბრუნდებაო.

სეზონის წინ კლუბის კაპიტანს სიმსივნე აღმოაჩნდა და მოკლე ხანში ძალ-ღონით სავსე კაცმა ლამის 20 კილო დაიკლო, თუმც დროზე ჩატარებულმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო და, როგორც ამბობენ, ჰოკეისტი ამ სეზონშივე აპირებს დაბრუნებას. წინა ოთხ სეზონში, როცა კოივუ თამაშობდა, მონრეალი პლეი ოფს მიღმა რჩებოდა, წლეულს კი მისმა პარტნიორებმა ძალიან მოიწადინეს, ყველაფერი გააკეთეს და დღესდღეობით აღმოსავლეთში სწორედ მერვე ადგილზე არიან. და თუ დარჩენილ თამაშებში ისინი ამ ჯაფას წყალს არ გაატანენ, კოივუ პლეი ოფში აუცილებლად შეემატებათ. შესაძლებელია, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩშიც კი ითამაშოს.

ასე რომ, ყველაფერი კოივუს თანაგუნდელებზეა დამოკიდებული, თუმც მონრეალელები ირწმუნებიან, სწორედ საკუს დაავადებასთან გმირულმა ბრძოლამ შეგვაძლებინა შეუძლებელიო.



საკუ კოივუ

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 6 აპრილი. 15 საათი

## საქართველო – რუმინეთი

თბილისი. ეროვნული სტადიონი



გურამ ფოლადაშვილის ფოტო

კლოდ სორელი მომავალმა მატჩმა სერიოზულად ჩააფიქრა

# მზადება № 1

## დროშები, დოლები, სტეჩაინი...

**გუშინ** ისტორიაში ერთ-ერთი უმთავრესი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს საქართველოს ნაკრები. ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა კლოდ სორელმა აქამდე უჩვეულო, მკაცრი რეჟიმი დააწესა. მორაგბეებს აეკრძალათ ინტერვიუების მიცემა და ვარჯიშებიც დაიხურა გარეშე პირთათვის. აქამდე ასე იყო ჩაფიქრებული, რომ სამშაბათს ნაკრები ეროვნულზე ივარჯიშებდა, მერე კი საგანგებო პრესკონფერენცია მოეწყობოდა, რაც მატჩამდე ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრა იქნებოდა. ეს გეგმა ჩაიშალა, რაკი სამშაბათს წამოწვიმა და ეროვნულის მინდორიც მეორე დღისთვის ანუ საფეხბურთოდ შემოინახეს. შესაბამისად, მორაგბეებმა გუშინდლამდე იქ ფეხი ვერ შედგეს და არც შეპირებული შეხვედრა შედგა. ასე რომ, პრესკონფერენცია ტრადიციულად მატჩის წინა დღეს, პარასკევს, გაიმართება.

გუშინ კი საფეხბურთო მატჩის შემდეგ ეროვნული მორაგბეებსაც დაეთმოთ. ორი მიკროავტობუსით მიადგნენ ბორჯღალოსნები სტადიონს და ქარით აჩქარებულებმა უმალ მოედანს მიაშურეს. ჩაფიქრებული სორელი უკან მიჰყვებოდა შეგირდებს და მოედნის კიდესთან რომ შეგვნიშნა, გაიკვირვა, თუმც ძველი ნაცნობობის ხათრით გამონაკლისი დაუშვა და ვარჯიშს დაგვასწრო. ოღონდ ინტერვიუზე თავაზიანი უარი გვითხრა, საუბარს პრესკონფერენციაზეც მოვასწრებთო.

პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, კვლავ გაფართოებული შემადგენლობა იყო. გუშინდლამდე ფრანგმა ოცდაოთხი მორაგბე შეარჩია, მაგრამ მერე მათთვის ოთხიც დაემატებინა. თუ გიორგი ბუგიანიშვილის, ოთარ ელოშვილისა და ვასილ აბაშიძის სანაკრებო შეკრებაზე გამოძახება ჩვეულებრივი ამბავია, ფრანგული „ლაველანეს" 33 წლის გარემარბის არჩილ ქავთარაშვილის ნაკრებში დაბრუნება მართლაც რომ მოულოდნელობაა. ბორჯღალოსანთა საუკეთესო მელელოვემ (11 ლელო) ეროვნულ გუნდში ბოლოს შარშან ჰოლანდიასთან ითამაშა. კლოდ სორელი „სტეჩკინას" (ქავთარაშვილის მეტსახელია) ასაკს და სათამაშო დონეს უწუნებდა და მას უფრო ახალგაზრდებს ამჯობინებდა. ახლა კი მატჩის მნიშვნელობის გათვალისწინებით ყველა ჯანზე მყოფს უხმო.

ტრადიციულად, ჯერ ფიზმომზადების მწვრთნელმა ტიერი რუდილიმ დაამუშავა მორაგბეები. მოთელვას, ძუნძულს და ხელით ბურთაობას სორელის შეძახილი მოჰყვა — ფრანგი მწვრთნელი შეგირდებს უხმობდა. სორელმა თავიდან მორკინალები დატვირთა და ბლომად ავარჯიშა აუტებში. ამას რომ მორჩა, გუნდი ორად გაყო და საწვრთნელი მატჩიც გაჩაღა. მორაგბეები ჩვეულად ხუმრობდნენ და ოხუნჯობდნენ. მათ შემყურე სორელსაც ეღიმებოდა. ახალი არაფერი შემნიშნავს ნაკრების ვარჯიშში, ერთი ეგ იყო, ჩვეულზე მეტ ხანს გაგრძელდა ორკარა. დაახლოებით საათი ირბინეს და იჯაჯგურეს ბორჯღალოსნებმა. თუ სორელს რამე არ მოეწონებოდა, სტვენით ანიშნებდა, გაჩერდითო და მთელ გუნდს ათი აზიდვით აჯარიმებდა.



გურამ ფოლადაშვილის ფოტო

ბესიკ ხამაშურიძემ ფეხი გაშალა

ბოლომდე არ უვარჯიშია ლევან ცაბაძეს, რომელიც ბარძაყის კუნთის ტკივილმა შეაწუხა. „ლეონსიოს" შესაძლოა ნერვი ჰქონდეს გაციებული. მოვარჯიშეებს მალე მევლუდ მთიულიშვილიც გამოეყო, ისიც კუნთის გამო. ბოლომდე არც მან დაიტვირთა თავი.

დღეს და ხვალ ბორჯღალოსნები ისევ ეროვნულზე ივარჯიშებენ, თუ ავდარმა არ შეუშალათ ხელი.

როგორც რაგბის კავშირის მესვეურებმა გვითხრეს, მატჩზე ჯვრიანი და შინდისფერი დროშებით ისევ მოვა ქართველი ფანობა და კიდევ, სუხიშვილების ათი მედოლე საგანგებო გამხნევებასაც ჰპირდება ბორჯღალოსნებს. ქართველი მედოლეები თურმე ორნაირად დაუკრავენ: ერთს მაშინ დააგუგუნებენ, როდესაც ჩვენები შეუტევენ, მეორეს — როცა თავს დაიცავენ.

**ბაჩო სვანიძე**



# რეკორდსმენი ლოგინს ხეხავს, რეკორდს სხვები ამყარებენ

**როგორც** გუშინ მოგახსენეთ, მოსკოვში „მოკლე წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე იაპონელმა საშიკო იამადამ მოახერხა და საცურაო ცენტრი წამით ტოკიოში გადაიტანა, სადაც 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ხოლო მოსკოვში სარეკორდო თვალსაზრისით ჯერ დიდი ხმაური არ ყოფილა. თავისუფალი სტილით 200 მეტრი ვაჟებმა იცურავეს, მაგრამ სტარტზე არ იდგნენ ყველაზე განთქმულები: იან ტორპი და პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი. ისინი მოსკოვში საერთოდ არ ჩასულან და აგრეთვე გაირკვა, რომ ავსტრალიელი გრანტ ჰეკეტიც გამოაკლდებოდა შეჯიბრს. გრიპი შეჰყრია.

ყოველივე ამის გაგონებამ ალფრთოვანება მოჰგვარა ამერიკელ კიტ კლერს, ვინც თავისთავად ელიტარულ მოცურავედ ითვლება, მაგრამ უფრო მაგრების ჩრდილი ჰფარავდა ივლისში, „გრძელი წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ტორპმა და ჰუგენბანდმა ბრინჯაოს მედალზე დასვეს. შანსის მოფონსვისთანავე კლერმა მოსკოვში წყალი ულონივრესად აქაფა, 25 მეტრიან აუზში 7 მოტრიალებაც მოხდენილად შეასრულა და ურეკორდოდ, მაგრამ ფინიშზე პირველი იყო. გზის პირველ ნახევარში მისი წარმატება შედარებით სათუო ჩანდა, რადგან კანადელი მარკ ჯონსტონი და ბრაზილიელი გუსტავო ბორგესი დაწინაურდნენ, მაგრამ კლერმა მოუჩქარა და პირველი ადგილი კომფორტული სხვაობით გაიფორმა. ბორგესზე აგრეთვე მოგახსენებთ, რომ ბრაზილიელი 1995 და 97 წლების „მოკლე წყლის" მსოფლიოს ჩემპიონი იყო.

ჰეკეტის გრიპის ისტორია კი შემდეგია: თავი უქეიფოდ შვედეთში, ავსტრალიელ მოცურავეთა ბოლო შეკრებაზე იგრძნო, ხოლო ორშაბათს და სამშაბათს სიცხე ჰქონდა და წყალში კი არა, ნომერში იწვა. ტემპერატურამ გუშინ დაუწია, მაგრამ ცურვის მულამზე სრულად ვერ მოვიდა და ჩვენგან აღწერილი შეჯიბრი ჩააგდო, თუმცა 5-დღიანი ჩემპიონატის თვალსაწიერზე მისი გამოჩენის იმედი ჯერ კიდევ არის.

„ხვალ გვეცოდინება, რამდენად შეძლებს გრანტი 4X200 მეტრიანი ესტაფეტის ცურვას — განაცხადა ავსტრალიის ნაკრების მედიასთან ურთიერთობის სამსახურის დირექტორმა იან ჰენსონმა, რომლის გოგოც ავად იყო. ლაპარაკია ოზთა ნაკრების წევრზე ბრუკ ჰენსონზე, რომელსაც აგრეთვე გრიპი აქვს, მაგრამ ქალის კაცზე მეტად გამძლეობის პრინციპიდან გამომდინარე, მალევე წამოდგა. ჰენსონმა მოსკოვში უკვე იცურავა ბრასით 50 მეტრზე გასახურებელი დისტანცია და ნახევარფინალში უმტკივნეულოდ გავიდა.

შედეგთა თვალსაზრისით ძალიან კარგი იქნება, თუ ჰეკეტი გრძელი დისტანციების გაცურვას მაინც მოახერხებს. ქუინსლენდის პროვინციის მცხოვრები სწორედ გამძლეობის გამოცდებში გამორჩევა და როგორც შედეგი მას ეკუთვნის „მოკლე წყლის" მსოფლიოს რეკორდები 400 და 1500 მეტრზე, „გრძელი წყლისაც" — 1500-ზე, რაც ყველაზე შთამბეჭდავია, 1997 წლიდან ჰეკეტმა 1500 მეტრზე აბსოლუტურად ყველა პრინციპული გაცურვა მოიგო.

ავსტრალიელებზე საუბარი იმით გავაგრძელოთ, რომ საგრიპო უსიამოვნებათა მიუხედავად, ისინი მოსკოვში მაინც ჩანან. ოზურ ყულაბაში პირველი მედალი პეტრია თომასმა ჩააგდო, რომელმაც ჩინებულად იპაპლავა ქალთა 200 მეტრზე და ფინიშთან პირველი იყო.

თავიდან ამერიკის მოქალაქე მარი დე სკენზა დაწინაურდა, რასაც თომასმა შუაგზიდან გადამწყვეტი გარღვევით უპასუხა. ახლა ავსტრალიელი გრძელ-მოკლე მსოფლიოს ჩემპიონია, რადგან ივლისის ფუკუოკაშიც პირველი იყო.

უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ 400 მეტრზე შერეული ცურვა მოიგო, ხოლო როცა მსოფლიოს რეკორდსმენი ჰეკეტი ლოგინში იწვა, ოლიმპიური საცურაო კომპლექსიდან პირველი მსოფლიოს რეკორდის ამბავიც გავიგეთ.

ეს ქმნეს ჩინელთ. ალმოსავლელ ქალებს ვერავინ შეეტოქა 4X200 მეტრიან ესტაფეტაში და 10-წლიანი ბრიტანული რეკორდიც ისტორიის არქივში გადავიდა. კერძოდ, ალბიონელთა კვარტეტმა ნორვიჩში 7.47,14 აჩვენა, ჩინელებმა — 0,44 წამით ნაკლები.

ხოლო ჩემპიონატის პირველი დღე დუბლით დაგვირგვინდა. ნახსენებმა ამერიკელმა, კლიტ კელერმა 4X100 მეტრიან ესტაფეტაზე აღრინდელივით მონდომებულად აფართხუნა ხელები და იანკთა ნაკრების გამარჯვებაში ხორბა წილი დაიდო. შვედეთის ნაკრებს მოუძღოდა მრისხანე ლარს ფროლანდერი, რუსებს — არანაკლები ალექსანდრ პოპოვი, მაგრამ ის დღე კლერის იყო.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| 200 მეტრი თავისუფალი სტილით |
| 1. კლიტ კელერი (აშშ) 1.44,36 |
| 2. გუსტავო ბორგესი (ბრაზილია) 1.45,67 |
| 3. მარკ ჯონსტონი (კანადა) 1.45,88 |
| 4X100 მეტრი ესტაფეტა |
| 1. აშშ 3.10,64 |
| 2. შვედეთი 3.11,14 |
| 3. რუსეთი 3.11,24 |
| **ქალები** |
| 400 მეტრი შერეული |
| 1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4.30,63 |
| 2. ალენკა კეიზარი (სლოვენია) 4.35,44 |
| 3. გეორგინა ბარდახი (არგენტინა) 4.36,36 |
| 200 მეტრი ბატერფლაი |
| 1. პეტრია თომასი (ავსტრალია) 2.05,76 |
| 2. იანგ იუ (ჩინეთი) 2.06,10 |
| 3. მარი დე სკენზა (აშშ) 2.06,10 |
| 4X200 მეტრი ესტაფეტა თავისუფალი სტილით |
| 1. ჩინეთი 7.46,30 |
| 2. აშშ 7.47,55 |
| 3. ავსტრალია 7.49,50 |



REUTERS

იანა კლოჩკოვამ ოლიმპიურ ტიტულს მსოფლიოს ჩემპიონობაც დაუმატა

# სტადიონები

ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში, სამხრეთ კორეამ და იაპონიამ რომ უნდა უმასპინძლონ. კორეელთა დედაქალაქის, სეულის მერს, გო კუნს ეროვნული ნაკრების მაისურა მოურგია და ისე მისულა მსოფლიო თასის სტადიონის პრეზენტაციაზე, სადაც ჯერჯერობით ფეხბურთელთა არა და უცხოელ დიპლომატთა სიმრავლე კი შეინიშნებოდა. თუ კორეელები ნამდვილი სტადიონით იწონებენ თავს, იაპონელებს განთქმული „ლეგოს“ სათამაშო სტადიონი გაუმზადებიათ ტრიბუნებითა და გუნდებით. კაი ძვირი სათამაშო კი ჩანს.



REUTERS ტოკიოდან



REUTERS სეულიდან

## შვედებმა მოიგეს

ბევრს კი ეცადა გერმანელი ლარს ჰილშერი, ბევრი კი სცა პატარა ჩოგანი პატარა ბურთს, მაგრამ ევროპის გუნდური ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში მაინც შვედეთის ნაკრები გახდა, რომელმაც 3:2 მოუგო გერმანელებს. შეჯიბრი ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში მიმდინარეობდა.




REUTERS ვაშინგტონიდან

## მორიგი სამოსი

ტრადიცია არ ირღვევა, ყოველ გუნდურ ჩემპიონს ამერიკის პრეზიდენტი თეთრ სახლში მიიწვევს ხოლმე, ახლაც, სუპერბოულის მომგები ამერიკული ბურთაობის გუნდი „ნიუ ინგლენდ პეტრიოტზი“ მიუპატიჟებია და გუნდის პატრონს რობერტ კრაფტსა (მარცხნივ) და მწვრთნელს ბილ ბელიჩიკს გადაუციათ კიდეც ტრადიციული საჩუქარი ჯორჯ ვაშინგტონ ბუშისთვის.



REUTERS ბუენოს აირესიდან

## შემთხვევა

ეს ორი ჯეელი ჩილელი მორაგბენი გახლავან, „ალუმის“ გუნდის მოთამაშენი ალბერტო სიბერეტხი და კლაუდიო ბენეტი, რომლებიც არგენტინის პოლიციას დაუკითხავს იქაურ ქალაქ მენდოსაში სარაგბო მატჩის შემდეგ პოლიციასთან ატეხილი ჩხუბის გამო. რვა ჩილელი მორაგბე დაუკავებიათ, მაგრამ მალევე გამოუშვიათ.



REUTERS ზაგრებიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ჯამაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჩკაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა ღოღრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge